HEINRICH BÖLL STIFTUNG SOUTH CAUCASUS

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროში 2013 წლის 1 ივლისს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე:

**“მდგრადი განვითარების რა შესაძლებლობები აქვს საქართველოს?”**

**ძირითადი მომხსენებლები:**

**მარიამ ვალიშვილი** - საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე

**შოთა მურღულია** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე

**ნინო შარაშიძე** - გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე

**მოდერატორი: თამარ გურჩიანი,** უფლებათა დამცველი

**თამარ გურჩიანი** - მოგესალმებით. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიურო მორიგ დებატებს მასპინძლობს, ამჯერად ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის მდგრადი განვითარება და იმაზეც, თუ რა შესაძლებლობები გააჩნია საქართველოს. ჩვენ მდგრადი განვითარების ცნების რეალური ინტერპრეტაცია უნდა მოვახდინოთ. დღევანდელი დისკუსიის აღწერილობაშიც ნახავდით, რომ ექსპერტები საქართველოში უკვე 80-იანი წლებიდან მსჯელობდნენ ამ თემაზე. 90-იან წლებში ამას "მწვანეთა მოძრაობის" გაჩენა მოჰყვა. მიუხედავად ამისა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, პრინციპში, საქართველოს დამოუკიდებლობის მთელი ისტორიის განმავლობაში, ამ ცნების რეალური მნიშვნელობა მაინც ვერ გავიგეთ. ჩემთვის, როგორც იურისტისთვის და ადამიანის უფლებების თემაზე მომუშავე პროფესიონალისთვის ეს თემაც უკავშირდება ადამიანის უფლებათა საკითხს, იმიტომ რომ მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ნაწილია გარემოს დაცვა. სოციალური ასპექტი, კულტურული მემკვიდრეობა - ეს საკითხები საქართველოს კონსტიტუციის თანახმად არა მარტო ჩვენი ზრუნვის ობიექტს წარმოადგენს, არა მარტო ჩვენ გვაქვს მათზე უფლება, არამედ ჩვენს მომავალსაც. ეს განსაკუთრებული კატეგორიის ღირებულებებია სამართლებრივი და ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან.

ჩვენს ქვეყანაში ბოლო 9 წლის განმავლობაში მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. ბევრი პროექტი ახლაც ხორციელდება. მდგრადი განვითარება გულისხმობს, რომ ერთი მხრივ ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები და მეორე მხრივ, ადამიანის ინდივიდუალური საჭიროებები და ადამიანის უფლებები დაბალანსებული იყოს. მდგრადი განვითარება გულისხმობს, რომ აწმყოს საჭიროებები ისე იყოს გათვალისწინებული, რომ მომავლის საჭიროებები არ დადგეს რისკის ქვეშ. რამდენად შეუძლია ამ ბალანსის შენარჩუნება საქართველოს სახელმწიფოს, რამდენად აკეთებდა ამას დამოუკიდებლობის განმავლობაში, ამაზე ვისაუბრებთ. მოხარული ვარ, რომ ყველა სფეროს წარმომადგენელი გვყავს დისკუსიაზე წარმოდგენილი და ყველა კითხვას გავცემთ პასუხს. ჩვენი დღევანდელი მომხსენებლები არიან ენერგეტიკის, გარემოს დაცვის და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრების მოადგილეები. დარბაზში ასევე იმყოფებიან ამ სფეროს ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ვფიქრობ, რომ მოხსენებების დასრულების შემდეგ ძალიან საინტერესო დისკუსია უნდა წარიმართოს.

მომხსენებლებს 15-15 წუთი ეძლევათ. ამის შემდეგ თითოეულ თქვენგანს ექნება საშუალება გამოთქვას საკუთარი მოსაზრება ან დასვას კითხვა.

ქალბატონი მარიამ ვალიშვილი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე გახლავთ, ბატონი შოთა მურღულია - რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეა, ქალბატონი ნინო შარაშიძე - გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე. ქალბატონ ნინოს მოვუსმინოთ.

**ნინო შარაშიძე** - დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჰანრიჰ ბიოლის ფონდს იმისათვის, რომ ასეთ დიდ ყურადღებას აქცევს ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს. დღესდღეობით საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს ძალიან ბევრი ქვეყანა, გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების შემცირების ფაქტის წინაშე დგას. ამ ყველაფერს ემატება არცთუ ისე მძლავრი ეკონომიკა და არცთუ ისე მძლავრი და გამართული ინსტიტუციები, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო წილად. ამ რეალობაში

ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ წინაპირობად სწორედ მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა და განხორციელება მიგვაჩნია.

რა არის მდგრადი განვითარება? მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი განვითარება როგორც ტერმინოლოგიურად, ისე შინაარსობრივად უკვე ოცი წელია მთელ მსოფლიოშია დამკვიდრებული, საქართველოში ის ძირითადად გარემოს დამცველების მიერ არის მოხსენიებული. თუმცა მდგრადი განვითარების სისტემა ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე გარემოს დაცვის მიმართულება. მდგრადი განვითარება ისეთი განვითარებაა, რომელიც დააბალანსებს როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებს. ეს არის განვითარება, როდესაც, ვთქვათ ეკონომიკური პროექტების დაგეგმვისას ხდება როგორც გარემოსდაცვითი, ისე სოციალური ასპექტების გათვალისწინება. მდგრადი განვითარება ისეთი განვითარებაა, როდესაც დღევანდელ თაობას აქვს პასუხისმგებლობა მომავალი თაობის მიმართ, რათა მათაც დავუტოვოთ განვითარების ისეთივე საშუალება, რომელიც დღეს ჩვენ გაგვაჩნია. ანუ არ მოხდეს ისე, რომ დღეს მაქსიმალურად ვიყოთ ორიენტირებულები დღევანდელი თაობის განვითარებაზე და არ ვიფიქროთ მომავალი თაობების განვითარებაზე. მათ განვითარების ისეთივე პოტენციალი უნდა ჰქონდეთ, როგორიც ჩვენ გვაქვს დღეს.

არის თუ არა გარემოს დაცვა ხელისშემშლელი ეკონომიკური განვითარებისთვის, როგორც სამწუხაროდ ხშირად წარმოაჩენენ? გარემოს დაცვა არ შეიძლება იყოს ხელისშემშლელი ეკონომიკური განვითარებისთვის. პირიქით, გარემოს დაცვა არის გარანტი ეკონომიკური, სტაბილური განვითარებისათვის. მე ვთქვი, რომ ეკონომიკური პროექტების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტები, თუმცა ასეთივე ვალდებულება აქვს გარემოს დაცვის და სოციალურ ნაწილსაც, გაითვალისწინოს ეკონომიკური ვალდებულებები. ჩვენ, გარემოს დაცვის სამინისტროს სრულად გვაქვს გააზრებული, რომ ერთი მხრივ ვართ ვალდებულები გარემოს დაცვაზე, თუმცა ასევე ვართ მთლიანად ქვეყნის განვითარებაზე პასუხისმგებლები. ამიტომ ეს მიმართულებები არათუ დაპირისპირებულად, ცალ-ცალკეც კი არ უნდა იქნეს განხილული. ეს ყველაფერი ერთმანეთთან უნდა იყოს შეჯერებული და დაბალანსებული.

გარემოს დაცვის სფეროსაც შეუძლია გარკვეული პრობლემები შექმნას, მაგალითად, გამოვაცხადოთ, რომ გვინდა ამა თუ იმ ტერიტორიის დაცულ ტერიტორიად გამოცხადება და არ გავითვალისწინოთ, რა ეკონომიკური და სოციალური შეზღუდვები შეიძლება მოჰყვეს ამას. ასევე შეიძლება სოციალური მიმართულებით განხორციელდეს რაღაც, რაც ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ასპექტებს შეუქმნის პრობლემას. მთავარი პრინციპია, დავაბალანსოთ ეს სამი მიმართულება, ერთმანეთს არათუ ხელი შევუშალოთ, არამედ ხელი შევუწყოთ.

არსებული მოსაზრება, რომ გარემოს დაცვა მდიდარი და განვითარებული სახელმწიფოების ფუფუნებაა, არ არის სწორი. ჩვენ გვაქვს განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილება. გარემოს დაცვის საკითხები მსოფლიოში დაახლოებით 70-იანი წლებიდან დადგა პოლიტიკურ დონეზე. ამ პერიოდში და მანამდეც გარემოსდაცვითი საკითხების იგნორირებით იმდენი შეცდომა იქნა დაშვებული, რომ მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოებს ძალიან დიდი თანხების ხარჯვა უწევთ მათ გამოსასწორებლად და ხშირად ამას ვერც ახერხებენ. ჩვენ უკვე ოცი წელია ამ გარდატეხის პერიოდში ვართ და მთელი ეს ხანი მიგვაჩნია, რომ ოდესმე უნდა დავიწყოთ ამაზე ზრუნვა, მაგრამ ჯერ ამის დრო არ არის. არადა ამ ოცი წლის

განმავლობაში უკვე ძალიან ბევრი რამ გავაფუჭეთ. ჩვენ სწორედ იმის ფუფუნება არ გვაქვს, ვიფიქროთ მოკლევადიან, სწრაფ ეფექტებზე.

ბუნებისთვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანს აქვს ეკონომიკური შედეგები. ჩვენს ქვეყანაში ეს შედეგები სამწუხაროდ სათანადოდ არ ფასდება. სამწუხაროდ მათ არ ითვლიან. საქართველოს არ გააჩნია ისეთი ბუნებრივი რესურსები, როგორიც არის გაზი, ნავთობი და ა.შ. ჩვენი ძირითადი ბუნებრივი კაპიტალი არის წყლის რესურსები, სატყეო რესურსები. როგორ იმართებოდა სატყეო რესურსები წლების განმავლობაში? მხოლოდ მოჭრილი ხის მერქნული რესურსი ითვლებოდა, ან მოჭრილი ტყის გამოთავისუფლებული ადგილი. არ ითვლებოდა მთელი ეკოსისტემური სერვისი, რომელიც ტყეს გააჩნია. ეს არის ნიადაგდაცვითი თუ მეწყერსაწინააღმდეგო და ა.შ. ასეთივე დამოკიდებულებაა ჭაობების მიმართ. ჩვენმა პრეზიდენტმა ორი დღის წინ სიამაყით თქვა, რომ ჰექტრობით ჭაობების ამოშრობას აპირებდა. თავისთავად, 21-ე საუკუნეში, როდესაც ყველამ იცის, რომ ჭაობებს გააჩნია ძალიან ბევრი ფუნქცია, იქნება ეს წყლის ფილტრის თუ წყალდიდობების საწინააღმდეგო, ძალიან უხერხულია ამაზე საუბარი.

ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ზუსტად უნდა იყოს გათვლილი, რას ვიღებთ და რას ვკარგავთ. ჩვენ ახლა ვნერგავთ ეკოსისტემების სერვისების შეფასებას. წინასწარ უნდა იყოს გათვლილი რას ვკარგავთ და რა ეკოსისტემური სერვისი შეიძლება მოეწოდებინა ამა თუ იმ ტერიტორიას არსებული ფორმით და რას დავკარგავთ, თუკი მის ნაცვლად სხვა რამეს გავაკეთებთ. ეს მიმართულება მსოფლიოშიც ახლა მკვიდრდება.

აქ ალბათ იქნება საუბარი ჰესებზე, დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. წინასწარ ვიტყვი, ჩვენ არ შეიძლება ვიყოთ ჰესების წინააღმდეგი, თუნდაც იმის გამო, რომ ეს არის განახლებადი ენერგეტიკული რესურსი. ზოგადად, ქვეყანას განვითარება სჭირდება, და ენერგეტიკული რესურსი სჭირდება იმისათვის, რომ განვითარდეს. თუმცა მიგვაჩნია, რომ ქვეყანა, რომელსაც გააჩნია 26 ათასი მდინარე, 800 ტბა, 700-მდე მყინვარი, ეს დიდი სიმდიდრე ძალიან სწორად და რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ. ჰესებმა, თუ სწორად იქნება დაგეგმილი, გარდა ენერგეტიკული რესურსისა, შეიძლება სხვა რესურსების განხორციელებაც შეძლოს და მეორე მხრივ, შესაძლოა ძალიან სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ჰესების თუ სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვამდე უნდა შევისწავლოთ არა მარტო ენერგეტიკული პოტენციალი, არამედ უნდა გავწიოთ მუშაობა ეკოსისტემების შეფასების მხრივაც.

**თამარ გურჩიანი** - იქნებ მიმდინარე პროექტების სტატუსკვოც შეაფასოთ, იმიტომ რომ შემდეგ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ალბათ ისაუბრებს ჰესების საკითხზე. დარწმუნებული ვარ, აუდიტორიას ძალიან აინტერესებს ეს საკითხი.

**ნინო შარაშიძე** - ამ ეტაპზე მიმდინარეობს შეფასება, შესწავლა, არის დიდი ბჭობა "ხუდონჰესთან" დაკავშირებით. ამ თემაზე კამათი უკვე ოცდაათი წელია გრძელდება. ძალიან მტკივნეული პროექტია თუნდაც იმ მხრივ, რომ ამდენი წელია მიმდინარეობს მსჯელობა და არ მოხერხდა გადაწყვეტილების მიღება. რომ აღარაფერი ვთქვათ იმ მოსახლეობაზე, რომელიც იქ ცხოვრობს და ამდენი ხანია ელოდება გამოსატან "განაჩენს". ეს მთელი საზოგადოებისთვის გარდამტეხი საკითხია. მახსოვს 90-იან

წლებში "ხუდონჰესი" იყო ერთ-ერთი ის თემა, რითიც დაიწყო საქართველოს ეროვნული მოძრაობა. მაშინ სხვა რეალობა იყო, დღეს - სხვა, თუმცა პროექტი თითქმის იგივეა.

იმისათვის, რომ ხუდონთან დაკავშირებით მაქსიმალურად ობიექტურები ვყოფილიყავით, მოვიწვიეთ ჰოლანდიის მთავრობის მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი ექსპერტები და მათ დადეს დასკვნა. ეს დასკვნა მდგრადი განვითარების პრინციპებიდან და საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე ითვალისწინებდა ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით შეფასებას. სამივე მიმართულებით ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დაისვა. მიმაჩნია, რომ სამივე მიმართულებით არის საკითხები, რომელზეც არ არის დასაბუთებული პასუხი. რაც მთავარია, არ არსებობს პასუხი იმაზე, რამდენად უფრო მომგებიანია ეს პროექტი ჩვენთვის და სარგებელი მეტი მოაქვს თუ დანაკარგი. რა ეკონომიკური და ენერგეტიკული სარგებელი აქვს და რა არის ის, რასაც ვკარგავთ. ეს არავის დაუთვლია და შეუფასებია. ჰოლანდიელმა ექსპერტებმა თქვეს, რომ ისინი მკაფიოდ ხედავენ რა არის ინვესტორის ინტერესი, თუმცა ვერ ხედავენ ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესს. სწორედ ამ მიმართულებით გვინდა გვქონდეს კითხვებზე პასუხი, რათა დარწმუნებულები ვიყოთ, რომ ის, რასაც ვიღებთ, უფრო მეტია, ვიდრე ის, რასაც ვკარგავთ. ჩვენი ფილოსოფია ეს არის, მივიღოთ უფრო მეტი, ვიდრე დავკარგავთ.

შემიძლია "დარიალჰესთან" დაკავშირებითაც ვისაუბრო. ჩვენ რომ მოვედით, ნებართვა უკვე გაცემული იყო. დღემდე მიმაჩნია, რომ ეს ძალიან დიდი შეცდომა იყო, იმიტომ რომ ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება თერგის 90% მილში იყოს მოქცეული. ეს არ არის მხოლოდ ემოცია. "დარიალჰესი" 106-მეგავატიანია. დერივაციულ ჰესებზეც მინდა ვთქვა. ამ შემთხვევაში მდინარის 90% მილში გადადის. ვთქვათ ქვეყანამ გადაწყვიტა იქ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა აწარმოოს. ირიგაციისთვის მას წყალი დასჭირდება, მაგრამ მდინარეში ფიზიკურად აღარ დარჩება წყალი მოსარწყავად. ან იქნებ რაიმე საწარმო ააშენოს, როგორი თანამედროვეც არ უნდა იყოს და როგორი წყლის გამწმენდი ნაგებობაც არ უნდა ჰქონდეს, მაინც დასჭირდება მდინარე განსაზავებლად. მაგრამ იქ აღარ იქნება იმ რაოდენობის წყალი, რომ განზავება მოხერხდეს. ამიტომ როდესაც ასეთ პროექტს გადავწყვეტთ, ემოციური, ტრადიციული და სხვადასხვა ფაქტორების გარდა, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია, ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ფაქტობრივად უარს ვამბობთ ნებისმიერ სხვა საქმიანობაზე მთელი მომდევნო ორმოდაათი თუ ასი წლის განმავლობაში.

**თამარ გურჩიანი** - ვფიქრობ, ქალბატონი მარიამი გასცემს ამ კითხვებს პასუხს და ისაუბრებს იმაზე, თუ ენერგეტიკის სამინისტროს პერსპექტივიდან რა არის მდგრადი განვითარება. რადგან ჰესების საკითხს შევეხეთ, შეგიძლით ყველა დიდი ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის ჰიდროელექტროსადგურებიც მიმოიხილოთ.

ჩვენ კი ვამბობთ, რომ როგორც ქალბატონმა ნინომაც აღნიშნა, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ბევრი რამ შესაძლოა მართლაც გაფუჭდა, მაგრამ ვხედავთ, რომ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში დაწყებული ბევრი პროექტი, მათ შორის "ხუდონჰესიც", მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კითხვაა მის ირგვლივ, მაინც გაგრძელდა. არც ეკონომიკური სარგებელი დასტურდება და გარდა ამისა საკამათო და საეჭვოა ის კომპანია, რომელიც ამ ყველაფერს აკეთებს. გარდა იმისა, რომ ისაუბრებთ სარგებელზე,

რასაც ჩვენი ქვეყანა ამ პროექტებიდან მიიღებს, იქნებ ისაუბროთ თქვენს ხედვაზეც, რა ეწირება ამ ყველაფერს მსხვერპლად აწმყოსა და მომავალში.

**მარიამ ვალიშვილი** - ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებას არ ვაპირებ ამ პროექტებთან დაკავშირებით. ეს სხვა კომპეტენციის სფეროა. რადგან მდგრად განვითარებას ვეხებით, რომელიც გლობალური თემაა, დღეს მგონი პრინციპების დონეზე და იმ მიმართულებების დონეზეა მსჯელობა, რომელიც უნდა იყოს გატარებული ყოველდღიურ საქმიანობაში.

აქცენტი ჰესებზე კეთდება და ეს ბუნებრივია, იმიტომ რომ ეს იყო გამოკვეთილი ენერგეტიკის დარგისთვის, როგორც პრიორიტეტული მიმართულება. ნახშირის მასობრივი ათვისების ან ატომურის მშენებლობის თემა რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, იმ კონტექსტშიც დაისმებოდა შეკითხვები და გაჩნდებოდა გარემოსდაცვითი და სოციალური თემები. ჩემი აზრით ჰესებზე კონცენტრირება გამოიწვია იმ ზედმეტმა აქტიურობამ, რომელიც ენერგეტიკას, როგორც დარგს, გამოჩენილი ჰქონდა ამ წლების განმავლობაში.

როდესაც მდგრად განვითარებაზე ვსაუბრობთ, ზოგად პოსტულატებს, სადაც არ უნდა მოღვაწეობდეს ადამიანი, ძნელია შეეწინააღმდეგოს. ეს აქსიომაა ჩემთვისაც და ალბათ ყველა მოქალაქისთვისაც, რომელიც დადის დღეს დედამიწაზე. ბუნებრივია, გვინდა ჯანსაღ გარემოში ჩვენი მომავალი თაობებისთვის ცხოვრება. ძალიან ხშირად ვახსენებთ ხოლმე დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდს. ნახსენები იყო "ხუდონჰესი", როგორც ინიციტორი განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებისა, მაგრამ განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდეგ ბევრი უშუქო წელი გვახსოვს და არც ერთი აშენებული ჰიდროელექტროსადგური. ამიტომ ნუ ვიტყვით, რომ სტრატეგიული გადაწყვეტილება მათი მშენებლობისა, უფრო სწორად, ჰიდრორესურსების ათვისების თვალსაზრისით, არის პანაცეა. ეს არის ენერგეტიკული მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება.

არც ერთი ჰესი არ აშენებულა, მაგრამ არც მეწყერსაშიში ზონები შემცირებულა საქართველოში, არც ტყის უაზრო გაკაფვა, არც დეგრადაციის ტემპები და დღეს ვიმყოფებით იმ მდგომარეობაში, რომელშიც ვიმყოფებით. ეს არის წლების განმავლობაში ამ ინტერვენციის შედეგი. არა იმიტომ რომ ჰესები არ შენდებოდა, ან თბოსადგურები და ნახშირის სადგურები არ შენდებოდა, უბრალოდ იყო ყოველდღიური ცხოვრების ისეთი წესი, როგორ მინიმალისტური ინტერვენციის ფორმატში, ისე მასობრივი ინტერვენციის ფორმატში, რომელმაც მოგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ დღეს უფრო კრიტიკულად დგება ანალოგიური ქმედებების ინიცირების შემთხვევაში რა პრევენციული ზომები უნდა გატარდეს, რა სტანდარტები უნდა შემუშავდეს და ა.შ.

ალბათ დამერწმუნებით, რომ ასი წლის წინ გარემოს დაცვის სულ სხვა სტანდარტები არსებობდა ან საერთოდაც არ არსებობდა, იყო რესურსების ათვისების პირველყოფილური მომხვეჭელობითი მიდგომები და შეფასების კრიტერიუმიც ცალსახად იყო ის, თუ რამდენი ოქროს მონეტა ჩაჩხრიალდებოდა ვიღაცის ჯიბეში. ალბათ ეს იყო ის პრინციპები, რომლის მიხედვითაც იყო რაიმე აქტივობები ასი წლის წინ მსოფლიოში. 50-იანი წლების შემდეგ მიდგომა შეიცვალა. დაიწყო ინდუსტრიული გადატრიალებები, მნიშვნელოვანი განვითარება ეკონომიკური წინსვლის კუთხით, რამაც თავისი პლიუს-მინუსები მოუტანა ბუნებას და სოციალურ ყოფადობას.

გარემოს დაცვა ნამდვილად არ არის ფუფუნება. ჩემი აზრით გარემოს დაცვა არის ყოველდღიური ცხოვრების სტილის ნაწილი. თუ ვთქვათ, არსებობს გარკვეული მიდგომები, ალბათ ეს მიდგომები მარტო საქართველოში არ არსებობს და არის მსოფლიო მასშტაბით. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ სხვა ქვეყნებში არანაკლებ შესტკივათ გული ადამიანებს თავის ბუნებაზე და არანაკლებ ძალისხმევას მიმართავენ შემარბილებელი თუ საპრევენციო ღონისძიებებისათვის, რათა მინიმიზაცია გაუკეთონ ყველა იმ ეფექტს, რასაც განვითარების გზაზე დგომა იწვევს. ამიტომ 70-იანი წლებიდან ეს ყველაფერი უკვე მოექცა სტანდარტების ხასიათში. თავიდან სტანდარტი მაშინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე შეიძლება ერთი იყო, მერე - სხვა, დღეს შეიძლება უფრო რთულია და კიდევ არის საუბარი, რომ ხვალ შეიძლება კიდევ უფრო გამკაცრდეს და უფრო მეტი შეფასება უნდა იყოს. ქალბატონმა ნინომ ახსენა ეკოსისტემების სერვისების შეფასება. ეს მარტო საქართველოში არ მოუგონიათ. ეს არის თემა, რომელიც საკმაოდ აქტუალურია და შესწავლისა და დამუშავების ეტაპზეა მთელ მსოფლიოში. დღეს არსად ანალოგიური სისტემის და მეთოდოლოგიის შემუშავება არ არსებობს და დარწმუნებული ვარ, რომ არცერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებაში ეკოსისტემების შეფასების რაღაც კლასიფიცირებული, სტანდარტად ცნობილი მიდგომები არ ტარდება. მაგრამ არსებობს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა. საქართველოში ველოსიპედს ვერ გამოვიგონებთ ვერც ენერგეტიკაში, ვერც წიაღის მოპოვებაში და ვერც გარემოს დაცვაში.

არსებობს საერთაშორისო პრაქტიკა. ჩვენი კონტრიბუცია, როგორც ქვეყნის, ამ მიმართულებით შეიძლება იყოს თუნდაც კვლევები და ანალიზი, მაგრამ არსებობს სტანდარტების გარკვეული მოცემულობა, როგორც ტექნიკური, ისე გარემოსდაცვითი. ეს არის ღირებულებები, რომლებიც აღიარებულია არა საქართველოს ფორმატში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ჰიდროელექტროსაგური სადაც არ უნდა შენდებოდეს, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ერთ ეფექტს მოიტანს როგორც ნორვეგიაში, ისე ნიკარაგუაში, ავსტრალიასა და საქართველოში. მაშინ რა უნდა თქვას ნორვეგიამ და ავსტრიამ, რომ აითვისეს ჰიდრორესურსები და სხვა წიაღისეული და ამარაგებენ ევროკავშირს, უნდა დახურონ ყველაფერი და რესურსები, რომელიც ემსახურებოდა მისი ეკონომიკის ზრდას ათწლეულების განმავლობაში, არ უნდა აითვისონ? დიდი დანაშაული ჩაიდინა ნორვეგიამ, როგორც სახელმწიფომ, რომ აითვისა ბუნებრივი რესურსები და მის შთამომავლობას 22-ე საუკუნეში არ დაუტოვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, ჰიდრორესურსების სხვაგვარად ათვისების შესაძლებლობა?

იმის თქმა მინდა, რომ ჰესი არ აშენებულა ოცი წლის განმავლობაში, მაგრამ ცივი და ბნელი დღეებიც გვახსოვს და განადგურებული ტყეებიც სახეზეა. ჰესების თემას თავს არ დავანებებ ძალიან მარტივი მიზეზის გამო, იმიტომ რომ ეს არის რესურსი, რომელიც შეიძლება სხვაზე მოჭარბებულად გააჩნია საქართველოს. ამიტომ არარსებული რესურსის ათვისებას მდგრად ფორმატში სჯობია არსებული რესურსის ათვისება მდგრად ფორმატში. ჩემი მიდგომა ასეთია. ამიტომ რაც არ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ისეთი რესურსის ათვისებაზე დავხარჯოთ ენერგია, რომელიც საქართველოს არ გააჩნია, მგონი უფრო არაეფექტური იქნება და ჯობია იმ რესურსის მდგრადად ათვისებაზე ვიზრუნოთ, რომელიც გაგვაჩნია.

ისმება კითხვა, რომ ენერგეტიკული რესურსი რამდენიმე გვაქვს. შეიძლება ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე ბევრი რესურსიც იყოს, მაგრამ ეკონომიკის მოთხოვნებიდან

გამომდინარე არსებობს ამ რესურსების ათვისების თანმიმდევრობა, როდესაც ერთ პერიოდში მისი ტექნოლოგიური ათვისების ან გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების კომბინაციაში მხოლოდ ერთი რესურსის ათვისებადობა იყოს მიზანშეწონილი. ამიტომ ცალსახაა ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, ცალსახაა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების დონის ამაღლების მოთხოვნები, და ამისთვის ენერგიის წყაროების შექმნა. თუ გლობალურად შევხედავთ ამ თემას, მარტო საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი ენერგომატარებლებზე მოთხოვნილების გაზრდა. შეიძლება საქართველოში ჩვენი განვითარების ტემპიდან გამომდინარე ის შედარებით ნაკლებად იზრდება, სხვა ქვეყანაში მეტად ან ზოგ შემთხვევაში საერთოდ არ იზრდება.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ კონკრეტულად ენერგეტიკის ნაწილში პროექტების განხორციელება მოტივირებულია არა იმ ეკოსისტემური სერვისების მიწოდებით, არამედ ენერგეტიკული სისტემების მიწოდებით, რომლის მოთხოვნილებაც არსებობს ქვეყანაში როგორც მოქალაქეების, ისე ეკონომიკის მხრიდან. საკმაოდ კარგი სტრატეგია იყო ის, რომ გარკვეული მიზეზების გამო სახელმწიფო ამის განვითარებას სათავეში არ ჩაუდგა საკუთარი რესურსით. ერთია, რომ ჩვენ საამისო რესურსები არ გაგვაჩნია. როდესაც საგადასახადო შემოსავლები საკმარისი არ არის პენსიის გადასახდელად, მილიონიან და მილიარდიან პროექტებში სახელმწიფოს არ აქვს ინვესტიციების ჩადების ფუფუნება.

მეორე მიმართულება, რატომ მაინცდამაინც ჰიდრორესურსები. სხვა რესურსი ფიზიკურად არა გვაქვს. არც ტექნოლოგიები გვაქვს, რომ რაღაც განსაკუთრებული აღმოვაჩინოთ, და მესამე - ეს პროექტები შენდება მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ინსტიტუტების დაფინანსებით. იმიტომ რომ თუ ჩვენ, ადგილობრივი სახელმწიფო ვერ გავთვლით იმ რისკებს, იმ სოციალურ გამოწვევებს, რომელიც ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტს თან ახლავს, რომ კიდევ ერთი ფილტრი ჩადგეს ამ პროექტების დაფინანსების კუთხით, და დამფინანსებელმა, რომელსაც შეხება აქვს ინდონეზიაშიც, ამერიკაშიც, ევროპაშიც, საერთო კალათაში, საქართველოში ინიცირებული პროექტი შეაფასოს, რამდენად ემსახურება იგი არსებულ საერთაშორისო გამოწვევებს, და რამდენად კარგად არის დაგეგმილი კონკრეტული პროექტის საქართველოში განხორციელება. ძალიან მარტივად ახდენენ შედარებას. არ შეიძლება საქართველოში თქვან, რომ განსახლების გეგმის სტანდარტი უნდა იყოს სხვა, ან პორტუგალიაში იყოს სხვა. ეს არის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მცდელობა. ამ შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციები არის ფილტრები ყველა დაშვებული შეცდომისთვის.

თუ გვაქვს მოსაზრება, რომ გადაწყვეტილება არ უნდა იქნეს მიღებული, სანამ ზოგადი შეფასების ფორმატს და შედეგებს არ მივიღებთ, ვფიქრობ, მცდარი მიდგომაა. ვერ დაველოდებით ასწლიან შეფასებას, რომელიც აბსოლუტურად ყველა კითხვაზე გასცემს პასუხს და ამის გათვალისწინებით დავიწყებთ მოქმედებას. დალოდებას აზრი არა აქვს. დღევანდელ მსოფლიოში რა საუკეთესო პრაქტიკაც არსებობს, იმ პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა გატარდეს ყველა ღონისძიება, იქნება ეს ჰესის მშენებლობა, ლიანდაგის დაგება თუ გზის გაყვანა. ეს არის ის მარტივი მიდგომები, რომლებიც გაგვაჩნია.

ეს არ არის არც ენერგეტიკის სამინისტროს და ზოგადად მთავრობის ინიციატივა, არამედ ეს არის საზოგადოების მოთხოვნა, რომ მთავრობამ განვითარებას შესაბამისი

გადაწყვეტილებით უპასუხოს, მაგრამ ყველა ეს გადაწყვეტილება იყოს სწორი და განხორციელებისთვის მისაღები ფორმის ანუ საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით. ჩვენ კონკრეტულ პროექტებზე ახალს ვერაფერს გამოვიგონებთ, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, არის ის, რომ თუკი რაიმე საუკეთესო არსებობს საერთაშორისო პრაქტიკაში, გადმოვიტანოთ და დავნერგოთ. ვფიქრობ, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი თემაა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჰესების აუშენებლობით ჩვენი ყოფა-ცხოვრება არ გაუმჯობესებულა გასული ოცდახუთი წლის განმავლობაში.

მე მინდა სანიტარულ ხარჯზეც იყოს აქცენტი გაკეთებული. ეს არის რესურსი, რომლის ათვისების ფორმაზეც არის საუბარი. ენერგეტიკის სამინისტრომ, როგორც პოლიტიკის გამტარებელმა ამ დარგში, გადაწყვიტა, სწორედ ის რესურსი იყოს ათვისებული ენერგეტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც ქვეყანას გააჩნია, რომელიც არის ყველაზე მიზანშეწონილი. სანიტარულ ხარჯთან დაკავშირებით დიდი დისკუსია იმართება ხოლმე. ეს არ არის 90-100%-ის მექანიკური გაყოფა, არამედ ეს არის სანიტარული ხარჯი, რომელიც თავის თავში მოიაზრებს იმ მინიმალურ ხარჯს, რომელიც საჭიროა გარკვეული მოთხოვნების, გარემოსდაცვის დასაკმაყოფილებლად. დამეთანხმებით, თერგი სარწყავ რესურსად ვერასოდეს გამოდგება იმ სოფლებისთვის. შესაბამისად აქ ეს კომპონენტი არის 0. კახეთში, სადაც მდინარის რესურსის წილი უფრო მაღალია ირიგაციის მიზნებისთვის, ეს შესაბამისად იქნება გათვალისწინებული. არსებობს ამის დათვლის მეთოდოლოგიები. ეს შეიძლება იყოს 10, 15 ან 100. ამიტომ ამ პროცესს სჭირდება დასაბუთება, როგორც მიზანშეწონილ სანიტარულ ხარჯს და არა როგორც რაღაც ფორმულით გამოყვანილ პროცენტს. ესეც კონკრეტული პროექტიდან გამომდინარე უნდა გამოითვალოს. გარემოსდაცვითი ანგარიშის მომზადების დროს ამაზე ყურადღება ყველას აქვს გამახვილებული. თუ რამდენად მისაღებია ეს, ამაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ფარგლებში შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

ქვეყნის ენერგეტიკული განვითარება გადის ჰიდრორესურსების სწორად ათვისებაზე. ეს არის ჩვენი დასკვნა და ვეცდებით, რომ ეს გადაწყვეტილება იყოს ადეკვატური გამოხატული ღონისძიებების სახით.

**თამარ გურჩიანი** - კარგი შენიშვნა მივიღეთ დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილისგან, რომ ყველა ასპექტზე ვისაუბროთ და არა მარტო ეკონომიკაზე. იმიტომ რომ მდგრადი განვითარება სწორედ იმას გულისხმობს, რომ სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი ასპექტებიც იყოს გათვალისწინებული. ჩემთვის გაუგებარი რჩება, ჰიდროელექტროსადგურებთან დაკავშირებით სად არის ადამიანური ასპექტი. ისე რიგიდულად ვსაუბრობთ ენერგეტიკულ პოტენციალზე, ჰიდრორესურსებზე და ეკონომიკურ სარგებელზე, რომ მგონი მართლა გვავიწყდება ადამიანები ალბათ გარემოს დაცვაც, რომელიც, როგორც გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილემ შესანიშნავად თქვა, მართლაც შეიძლება ვიკითხოთ, არის თუ არა გარემოს დაცვა ფუფუნების საგანი. რამდენად ლეგიტიმურია ასეთი კითხვები. ამ შეკითხვით გადავალ ბატონ შოთა მურღულიასთან - რამდენად ითვალისწინებთ ყველა ამ კომპონენტს და როგორია მდგრადი განვითარების თქვენეული ხედვა.

**შოთა მურღულია** - მოგესალმებით. შევეცდები მოკლედ მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება, რათა უფრო მეტი დრო დავუთმოთ აუდიტორიის მოსაზრებების

განხილვას. დავეთანხმები ჩემს წინა გამომსვლელებს და ვიტყვი, რომ მდგრადი განვითარების პრინციპი მგონი სადაო არ არის. ისე უნდა მოვახდინოთ განვითარება, რომ მომავალ თაობებსაც დარჩეთ ამის შესაძლებლობა და უფრო მეტი შესაძლებლობაც კი ჰქონდეთ განვითარებისთვის. ხოლო ახლანდელი ინფრასტრუქტურა წინაპირობა იყოს მომავალი განვითარებისთვის.

სამივე კომპონენტი - ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გათვალისწინებული უნდა იყოს. რა თქმა უნდა ძალიან ძნელია და გააჩნია, რომელი მხარე რომელი მიმართულებით უფრო იხრება, მაგრამ მგონი მთავარი ამოცანაც ეს არის, რომ ეს სამი ასპექტი ყველა პროექტის დროს იქნეს განხილული.

ჩვენი სამინისტროს ბიუჯეტი მოგეხსენებათ სხვა სამინისტროების ბიუჯეტთან შედარებით ერთ-ერთი დიდია და ძირითადად ფინანსდება საგარეო ვალდებულებებით აღებული თანხებისგან. ეს შეიძლება ძალიან კარგი არ იყოს მაკროეკონომიკურად, თუმცა როცა ჩვენი რესურსი არ გვაქვს, იმ რესურსის გამოყენება გვიწევს. უფრო მეტი პასუხისმგებლობაა ამ რესურსის გამოყენებაში, რადგან ზუსტად ეს რესურსია შემდგომი თაობების გადასახდელი. მდგრადი განვითარების კომპონენტების გათვალისწინებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მომავალი თაობა ეკონომიკურადაც ძლიერი იყოს და სოციალურადაც უკეთეს მდგომარეობაში იყოს.

როგორც მოგახსენეთ ჩვენთან ძირითადად საგარეო ვალდებულებებით აღებული თანხებით ხდება დაგეგმვა. პროპორციულად, დაახლოებით 70% ასეა. ყველაზე დიდი, ავტობანებთან და საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პროექტები, რომლებიც დონორი ორგანიზაციების მიერ არის დაფინანსებული. თითქმის ყველა ორგანიზაციას აქვს თავისი მოთხოვნა. რაზეც ახლა ვსაუბრობთ, ე.წ. "ვიზიბილითი" და შემდეგ შემთხვევაში კონკრეტული გარემოსდაცვითი საკითხები უფრო მნიშვნელოვნად გამოიკვეთება. კონკრეტული კვლევის გარეშე პროექტი არ იდება. შეიძლება სადავო იყოს იმ დოკუმენტების ხარისხი, თუმცა სამინისტრომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში "აზიის განვითარების ბანკს", "მსოფლიო ბანკს" სთხოვა უფრო მეტად იყოს გათვალისწინებული ეს ასპექტები პროექტში, რათა პროექტირების დროსვე გვქონდეს განსაზღვრული, რა პრობლემას შეიძლება წავაწყდეთ. მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, ბოლო პერიოდში ასეთი შემთხვევები მაინც დაფიქსირდა. ჩვენ არ გვინდა გარემოს ისე შევეხოთ, რომ ჯერ ერთი საზოგადოება გავაღიზიანოთ და მეორე - მომავალ თაობებს პრობლემები შევუქმნათ. თუმცა მიგვაჩნია, რომ ეს არ უნდა ნიშნავდეს გაჩერებას.

ჩვენ გვაქვს რამდენიმე საკითხი. ერთ-ერთი ეხებოდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. დაახლოებით 12 მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტი ჩაგვბარდა, სადაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან იყო შეხება. არცერთ შემთხვევაში არ ყოფილა ნებართვა, დარღვეული იყო ყველა წესი. კულტურის სამინისტრომ მოითხოვა მათი შეჩერება. ჩვენთვის მისაღები იყო შეჩერება საკითხის გადაწყვეტამდე, მაგრამ ამ გადაწყვეტას სჭირდება თანმიმდევრული ნაბიჯები. იქ, სადაც უკვე მოხდა შეხება, გამოსავალი არ არის შეჩერება, ამან შეიძლება კიდევ უფრო გააუარესოს მისი მდგომარეობა. ამიტომ ამ ყველაფერს სჭირდება დეტალური განხილვა და ახლა დაიძრა ეს საკითხები.

ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია კერძო საკუთრების თემა. რამდენიმე ინფრასტრუქტურული ობიექტი კერძო საკუთრებაში შენდებოდა. ისე, რომ არ იყო მესაკუთრის თანხმობა. საკუთრების უმეტესობა გადავჭერით, თუმცა რამდენიმე

დაგვრჩა, სადაც უკვე დიდი ინვესტიციაა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული. ასეთი იყო ფოთთან დაკავშირებული საკითხები, სადაც შვიდი 20-სართულიანი კორპუსი ნაწილობრივად კერძო მესაკუთრის ტერიტორიაზე შენდებოდა. სამი სართული უკვე ამოყვანილია. ასეთ დროს მიწის დაბრუნება შესაძლოა მიწის ჩანაცვლებით შეიცვალოს. ასეთი მტკივნეული თემები გადავჭერით, უკეთესი ფართი შევთავაზეთ, რადგან სხვა გამოსავალი არ იყო. ფოთში კანალიზაციის გამწმენდი დიდი ნაგებობა ჩადგეს და ამ დროს ადამიანს ნაკვეთი სამ ნაწილად გაუყვეს. იქ ასი მეტრის რადიუსით გავლა სასიამოვნო არ არის. იყო ასეთი დამცინავი შემთხვევები. ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი გამოვასწორეთ, მაგრამ ძველი პრობლემები აღვრიცხეთ, ვნახეთ, რისი გადაჭრა იყო შესაძლებელი. რაღაც თემები სავარაუდოდ სასამართლომდეც მივა, იმიტომ რომ ჩვენც არა ვართ ყოვლისშემძლე. იყო შემთხვევები, როდესაც კომპანიები მოგვმართავდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ ტერორში იყვნენ, თუმცა ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა დავადგინოთ ეს ნამდვილად ასე იყო თუ არა, ამისთვის არსებობს სასამართლო.

ჩვენს მიერ დახარჯული თანხის ძირითად ნაწილზე არსებობს სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი და ხშირ შემთხვევაში გარემოსდაცვითიც. რაც ჩვენი ბიუჯეტით იხარჯება, ანუ საგადასახადო შემოსავლებით, იქ ბევრი პროექტი ხარვეზიანია. ასეთი ბევრი პროექტი დაგვხვდა. დიდი ნაწილი ახლა პროექტირებაზეა გაშვებული და ვცდილობთ, რომ გარემოსდაცვითი ნაწილი გათვალისწინებული იყოს. ჩვენ არა ვართ სამინისტრო, რომლისთვისაც სულერთია გარემოს დაცვა, პირიქით. ჩვენ გვინდა, რომ საზოგადოებამ ეს დაინახოს და ეკონომიკურ-სოციალური ეფექტი მივიღოთ და არა უკუეფექტი, რომელიც ერთ კონკრეტულ შემთხვევაში მივიღეთ. ამხელა საქმე კეთდება, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მან გადაწონა და როგორც ადამიანს, მესმის და არც ჩემთვის იყო ეს მისაღები. თუმცა იქ ბევრი საკანონმდებლო ცვლილებაა განსახორციელებელი. არის მთელი რიგი ობიექტები, რომლებიც ძეგლთა დაცვის ნუსხაში უნდა შევიდეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ თუ არ არის შესული, ყველას შეუძლია მივიდეს და რაც მოუნდება, ის გააკეთოს.

საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული საქმეების დაახლოებით 80% გადავჭერით. დაგეგმვასა და პროექტირებასთან დაკავშირებით თხოვნით მივმართეთ "აზიის განვითარების ბანკს" და რამდენიმე ექსპერტი მოგვივლინა, რომ პროექტირების დროს კიდევ უფრო დეტალურად იყოს გათვალისწინებული როგორც გარემოსდაცვითი, ისე განსახლების კომპონენტი. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. მოგეხსენებათ, რომ დიდი მშენებლობები თითქმის ყველა ქვეყანაში ეხება განსახლების თემას, რაც ძალიან მგრძნობიარე თემაა, იმიტომ რომ რას ნიშნავს "სამართლიანი ფასი", ძალიან სადავოა. მამა-პაპის სახლი საბაზრო ღირებულებით შეიძლება ძალიან იაფი ღირდეს, მაგრამ იმ ადამიანის შეფასებით ძალიან ღირებულია და თავად რომ გამოვცადოთ, მაშინ მივხვდებით, რა ღირებულებაზეა საუბარი. აქაც არსებობს მეთოდები, რომლებიც შეიძლება მოვარგოთ რეალობას. ექსპროპრიაციის შემთხვევები არსებობდა. სავარაუდოდ კიდევ იქნება, მაგრამ ვცდილობთ, მინიმუმამდე დავიყვანოთ. საფრანგეთმაც კი აღიარა ბოლოს, რომ ექსპროპრიაცია რაღაც შემთხვევაში შეიძლება აუცილებელი გახდეს თუ ძალიან დიდი პროექტი ხორციელდება და მხოლოდ ერთი ადამიანია ამის წინააღმდეგი. თუმცა ხელისუფლება უნდა შეეცადოს, რომ ნულამდე დაიყვანოს.

მთლიანად პრობლემას ვერ გადავჭრიდით, მაგრამ ეს არის ის, რაც გავაკეთეთ. განსახლებასთან დაკავშირებითაც ექსპერტები ჩამოვიყვანეთ. ჩვენ გვინდა ავაგოთ ინფრასტრუქტურა და გვინდა, რომ მან მოიტანოს ეკონომიკური ზრდა და გადაჭრას სოციალური პრობლემები. ნამდვილად არ გვინდა უკუეფექტის მიღება. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მთავარი გამოსავალი არის კარგი პროექტები, რომლებშიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი, განსახლების კომპონენტები, რაც აქამდე ძალიან დაბალ დონეზე იყო. საზოგადოებაში მაინც ჩნდება მოსაზრება, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები შეჩერდა. შემიძლია მოგაწოდოთ მონაცემები, რომელთა გადამოწმებაც ყველა თქვენგანს შეუძლია. სამინისტროს პირველ ორ კვარტალში უფრო მეტი ინფრასტრუქტურა აქვს შექმნილი, ვიდრე ეს იყო წინა ორი წელს. სამწუხაროა, რომ ჩვენი სამინისტრო ასოცირდებოდა თითქმის ყველაფერთან , რაც კი კეთდებოდა, დებულებით კი ეს არ ევალებოდა. მაგალითად პარლამენტის მშენებლობა, რკინიგზა.

ძალიან რომ ჩავიკეტოთ და თითქმის ყველა პროექტი შევაჩეროთ და ექვსი თვე დაველოდოთ, ალბათ პოლიტიკურად ეს საერთოდ მიუღებელი იქნება. პრობლემაა ისიც, რომ საზოგადოებასთანაც უკეთესი კომუნიკაციაა საჭირო. აქ წარმოდგენილ საზოგადოებას ძალიან კარგად ესმის გარემოს ფასი. მაგრამ საზოგადოების დიდ ნაწილში უნდა იყოს ეს მოთხოვნილება. მდგრადი განვითარება ჩემი გადმოსახედიდან არ ნიშნავს სწრაფ განვითარებას. ოღონდ არც ნელ განვითარებაზეა საუბარი. მდგრადი განვითარება ნიშნავს ნაბიჯ-ნაბიჯ, გეგმაზომიერ განვითარებას. გეგმა და ზომიერების განსაზღვრაა პრობლემა. მაგრამ ყველა ადამიანი მაინც ელოდება გაზრდილ პენსიას. ადამიანების ნაწილისთვის გაზრდილი პენსია შეიძლება უფრო განმსაზღვრელი იყოს, ვიდრე გარემოსდაცვითი ან განსახლების საკითხი. ეს არ არის მარტივი თემა, ეტაპობრივ სვლას საჭიროებს.

სამინისტრო ცდილობს, რაც შეუძლია ის გათვალოს. ჩვენი მთავარი კონცენტრირება ხდება კარგ პროექტებზე, სადაც რისკი წინასწარ არის გათვლილი იმ პროექტებისგან განსხვავებით, სადაც რისკები სამუშაო პროცესში იჩენს თავს. მაგალითად სვანეთში საბაგიროების მშენებლობა. 40 მილიონამდე უკვე გახარჯული იყო, შეთანხმებული და ნაყიდი იყო უკვე საბაგიროები. ჩვენ მაინც ვთქვით, რომ სისწრაფე არ ღირდა და ჩავრთეთ გეოლოგები, არქეოლოგები. რომ გავთვალეთ, დროში მაინც უფრო სწრაფად ვიმოქმედებთ, ვიდრე სამუშაო პროცესში რისკების აღმოჩენის შემთხვევაში. კარგი კვლევის დადება დროში შეიძლება უკეთესი იყოს. გათვლებმა აჩვენა, რომ წინასწარი კვლევების ჩატარება უფრო იაფიც არის. სამუშაო პროცესში გაჩერება და შემდეგ თავიდან დაწყება დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი კარგად არის. არის დარღვევები და მაქსიმალურად ვცდილობთ გავიგოთ რა ქმნის პრობლემებს. ჯერჯერობით რაც დავინახეთ, პრობლემა თავად პროექტებშია. იმიტომ რომ პროექტში ყველაფერი დასაბუთებული და გათვლილი უნდა იყოს, იქნება ეს ხის მოჭრა თუ სხვა. ნაცვლად იმისა, რომ მშენებელმა თავად მიიღოს გადაწყვეტილება. ეს ეხება ბუნებრივ რესურსებს, კარიერებთან დაკავშირებულ საკითხებს. ის, რაც გამოყენებადია, შეიძლება იყოს აღიცხული. ჩვენი ინიციატივა იქნებოდა, რომ წინასწარ იყოს განსაზღვრული რისი გამოყენება შეიძლება მშენებლობისთვის. წინასწარ თუ იქნება განსაზღვრული, დაგეგმვაც უკეთ შეგვეძლება.

ეს ეხება პროგრამებსაც სოფლად. 7 ათასამდე პროგრამაა დაფინანსებული და აბსოლუტურად ყველა მოგვმართავს, მივცეთ უფლება, რომ მასალა მცირე დოზით გამოიყენონ. აქა წინააღმდეგობაში ვხვდებით, იმიტომ რომ ერთი მხრივ ყველა სოფელი ითხოვს, მეორე მხრივ, პროცედურა ერთ თვეს მაინც გულისხმობს. გვინდა, რომ ეს ყველაფერი კოორდინირებულად გავაკეთოთ . პირველ წელს ყველაფერს ვერ გამოვასწორებთ, მაგრამ ასეთი საკითხების მოგვარება შესაძლებელია.

**თამარ გურჩიანი** - ახლა უკვე გადავდივართ დისკუსიის მეორე ეტაპზე. დარბაზიდან კითხვების პირველი რაუნდი უკვე შეგვიძლია მივიღოთ. ნებისმიერ მომხსენებელს შეგიძლიათ დაუსვათ კითხვა ან გააკეთოთ კომენტარი.

**ვახტანგ ზარქუა, "ენერგოეფექტურობის ფონდი"** - დიდი მადლობა მომხსენებლებს საინტერესო მოხსენებებისთვის, განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ნინოს. იმიტომ რომ დიდი სჯა-ბაასი იმართება ხოლმე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით. უკვე 22 წელიწადია ერთსა და იმავე მუსიკას ატრიალებს ხელისუფლება, რომელიც პირადად ჩემთვის ნამდვილად მოსაბეზრებელია.

არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ ჰიდროენერგორესურსები მართალია საკმაოზე მეტად გაგვაჩნია, მაგრამ მათ სჭირდება სწორი გამოყენება. როდესაც მაღალ წყალსაცავიან ჰიდროელექტროსადგურებს ვაშენებთ, უნდა დავფიქრდეთ, გვჭირდება თუ არა ენერგეტიკული თვალსაზრისით წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურები. არავინ ამბობს იმას, რომ წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც პიკური სიმძლავრის დასაფარად შენდება, საქართველოს არ ჭირდება და მრავალი წელი არ დაჭირდება.

არც იმაზე ლაპარაკობს ვინმე, რომ ის პროექტები, რომლებიც არის დაგეგმილი, 40 წლის წინანდელი სქემებით არის გაკეთებული. ამ ხნის განმავლობაში შეიცვალა მიდგომები, სტანდარტები. შეიცვალა სამყარო. არ შეიძლება დღეს 40 წლის პროექტებით ვიხელმძღვანელოთ.

არავინ საუბრობს იმაზე, რომ გვჭირდება ბაზისური სიმძლავრეები, თუ გვინდა ეკონომიკის განვითარება. თუ გაქვს ნორმალური ბაზისური სიმძლავრე, საიმედო ენერგოსისტემა გაგაჩნია.

არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ იმ კაშხლების და მაღალი წყალსაცავებიანი ჰიდროელექტროსადგურების 80-85, ზოგჯერ 90%-ზე მეტი, განკუთვნილია საექსპორტოდ და არა ჩვენთვის.

აუცილებელია მდგრადი განვითარების პრინციპები, რომლებსაც არ იხილავდნენ 40 წლის წინ, ისინი უკვე შემოდის და საჭიროა ამ სქემების გადახედვა. სიმართლე ვუთხრათ ხალხს, რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში. ეს 40 წლის წინანდელი პროექტები 2006 წელს ჩამოყალიბდა სტრატეგიის დოკუმენტში. ეს დოკუმენტი აბსოლუტურად აყირავდა. შესრულება არ უწერია. პროცენტულად ვერ შეაფასებ, იმიტომ რომ არასწორად იყო დაგეგმილი. პრიმიტიული და დანაშაულებრივი მიდგომა იყო. თითქმის ყველა მდინარეზე ისე გადაწყვიტეს ჰიდროელექტროსადგურის ჩადგმა, რომ არ გაითვალისწინეს დღევანდელი მოთხოვნები და მდგომარეობა. ეს იყო წინა მთავრობის ძალიან არაკომპეტენტური მიდგომა უაღრესად სერიოზული საკითხის მიმართ.

ძალიან მიკვირს ქალბატონი მარიკასგან იმის მოსმენა, რომ ყველას გვახსოვს ხუდონის შეჩერების შემდეგ უშუქობა. გეთანხმებით, შევარდნაძის დროს მართლაც გვახსოვს უშუქობა, მაგრამ არ აშენებულა ჰესები, მაგრამ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მივიღეთ 24-საათიანი შუქი. როგორ მოხდა ეს? ასე რომ აქ ხუდონი არაფერ შუაშია. ხუდონი ეროვნულ მოძრაობას არ შეუჩერებია. თუ ღრმად ჩავუკვირდებით, მაშინ კრიზისი იყო საბჭოთა კავშირში და ყველა დიდი ობიექტი გაჩერდა.

და კიდევ ერთი, აუცილებლად უნდა ვნახოთ გარდამავალი პერიოდი. ვიცნობ რა საზოგადოების, ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციების განწყობას, ვიცი, რომ ეს საკითხი ასე არ დამთავრდება. ამიტომ პირველი რიგის საკითხად მეჩვენება მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავება. ეს არის ყველაფრის საფუძველი.

**თამარ გურჩიანი** - რა ხედვა არსებობს საკანონმდებლო ცვლილებების თვალსაზრისით. საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება ინვესტორის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული თუ თქვენ გაქვთ კონცეფცია შემუშავებული?

**ზურაბ ბაქრაძე, ქალაქმგეგმარებელი** - მინდა დავუბრუნდეთ მთავარ თემას, რომელიც ძალიან ბევრისმომცველია. ამ მთავარი თემიდან ერთი ასპექტის დანახვება მინდა. და შემდეგ კითხვა მაქვს ბატონ მურღულიასთან.

მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ასპექტია ქვეყნის სივრცითი მოწყობის ასპექტი, რომელშიც გამოიხატება ყველა ეს თემა და რომელიც იძლევა პასუხს კითხვაზე, როგორი ქვეყანა გვინდა გვქონდეს. აქ იგულისხმება ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, ესთეტური ასპექტები. რატომღაც იმაზე არ ვლაპარაკობთ, როგორი სილამაზის ქვეყანა გვინდა გვქონდეს და როგორი გვაქვს. მიჩუმათებულია ლანდშაფტების მშვენიერება. ჩვენი შვილების აღზრდაში რამხელა მონაწილეობას იღებს ეს ლანდშაფტები, ამაზე რატომღაც არ ვლაპარაკობთ. ძალიან ტექნოკრატული გადახრა აქვს ჩვენს საუბრებს.

საქართველოს არა აქვს სივრცითი მოწყობის სტრატეგია. არავინ იცის, როგორი ქვეყანა გვაქვს და როგორი გვინდა გვქონდეს. პირველ რიგში უნდა შეიქმნას სივრცითი მოწყობის სტრატეგია. ცოტა ხნის წინ ბატონმა ნარმანიამ გამოაცხადა, რომ "მსოფლიო ბანკის" დახმარებითიწყებს ურბანული განვითარების კონცეფციის შემუშავებას. მინდა მჯეროდეს, რომ აქ სივრცითი მოწყობის კონცეფციაზე იქნება ლაპარაკი, მაგრამ მას მერე არაფერი გამიგია. ის ყველაფერი, რაზეც დღეს იყო საუბარი, პოულობს გამოხატულებას სივრცით მოწყობაში. სად გვექნება აღკვეთილები, ნაკრძალები, დასახლებული ადგილები, მიწათმოქმედების ადგილები, ეს რომ გონივრულად იყოს დაგეგმილი, ამას ყველაფერს წინ უნდა უძღოდეს ასეთი სტრატეგია.

ის, რაც ბატონმა ნარმანიამ თქვა, დაახლოებით მაინც თუ გულისხმობს სივრცითი მოწყობის სტრატეგიის შემუშავებას?

**დავით ადეიშვილი, ეკონომისტი** - შეკითხვა მაქვს ორგანიზატორებთან, მოიწვიეთ თუ არა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი?

**მალხაზ სალდაძე** - არ მოგვიწვევია. გარემოსდაცვითი ასპექტები გვინდოდა წარმოგვეჩინა.

**დავით ადეიშვილი** - ეს უშუალოდ მათი ფუნქციაა, რომელშიც არცერთი კუთხით არ ერევიან, რაც დიდი შეცდომაა. თუ ასეთი სახელი დაარქვეს, კიდეც უნდა იზრუნონ მის შესრულებაზე. იქ არის სპეციალური დეპარტამენტი, მაგრამ რბილად რომ ვთქვათ, ძალიან არასაკმარისად მუშაობენ.

ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა მოგვეწვია სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მდგრადი განვითარების კუთხით ესეც ძალიან მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება ენერგეტიკას, ეს ძალიან სერიოზული საკითხია. თითქმის ოცი წელია მიდის მსჯელობა, მაგრამ ადგილიდან არ იძვრის. ამასწინათ წავიკითხე, თითქოს ახალი სტრატეგიის შემუშავება დაიწყეთ. თუ ეს ასეა, ვერ ვხედავ ცვლილებას თქვენს მიდგომებში. ის, რომ როგორც აცხადებთ საქართველოს ენერგეტიკა 100%-ით უნდა დაეფუძნოს ჰიდროენერგეტიკას, გაუგონარი რამ არის. ასე წერია თქვენს კონცეფციაში. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი საქართველოს მთიანეთი უნდა დაინგრეს და იქ ხალხმა აღარ უნდა იცხოვროს.

იქნებ გვითხრათ, როგორია საქართველოს ენერგოეფექტურობა. საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნაა ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით. ამის შესახებ სტატია მაქვს გამოქვეყნებული გაზეთ "რეზონანსში". ჩვენს მეზობლებთან შედარებით ყველაზე არაენერგოეფექტურები ვართ. წარმოებულ ერთობლივ შიდა პროდუქტზე ვხარჯავთ ყველაზე მეტ ელექტროენერგიას. ამავე დროს არის ყველაზე დიდი დანაკარგები ენერგოსისტემაში, მაგრამ ამაზე არაფერს ვამბობთ. ელექტროდამზოგველ ტექნოლოგიებზე საერთოდ არ არის საუბარი ამ კონცეფციაში.

მოველოდი, რომ ახალი მთავრობა ნეოლიბერალურ მიდგომას შეცვლიდა და განსხვავებულ ხედვას შემოიტანდა, მაგრამ იგივე გრძელდება, რაც დაუშვებელია. უნდა შეიქმნას ახალი მდგრადი განვითარების პოლიტიკა.

**თამარ გურჩიანი** - ქალბატონ მარიამს ვთხოვდი, თუ არის კონცეფცია, იქნებ მასზე ინფორმაცია მივაწოდოთ ადამიანებს, იმიტომ რომ ისინი მარტო იმას კი არ გრძნობენ, რომ იზრდება მათი პენსია, არამედ პენსიის გაზრდის გადაწყვეტილებაშიც უნდა მონაწილეობდნენ. ამიტომ მგონია, რომ ამ საკითხებში არამარტო მთავრობის კოორდინირებული მუშაობაა საჭირო, არამედ ადამიანების ჩართვაც საქმიანობაში.

სამწუხაროდ ყველა სამინისტრო ფიზიკურად ვერ იქნებოდა წარმოდგენილი, მაგრამ იქნებ თქვენ მთავრობის ზოგად პოლიტიკაზეც გვესაუბროთ.

**თამაზ ვაშაკიძე, საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრის დირექტორი** - ძალიან გამიკვირდა, რომ არცერთ გამოსვლაში სიტყვა "ინოვაცია" არ ყოფილა ნახსენები. როდესაც მდგრადობაზე ვლაპარაკობთ, ინოვაცია მდგრადობის მამოძრავებელ თოთხმეტ ელემენტზე მაღლა დგას. ინოვაციასთან ერთად არის დრო. ამ ორ კომპონენტის გარეშე მდგრადობაზე საუბარი ძალიან ძნელი და ვფიქრობ, არასწორიც არის. როდესაც გარემოს დაცვის მინისტრს პირველი შეხვედრა ჰქონდა, წარმოადგინა სამინისტროს სტრუქტურა. ჩემი პირველივე შეკითხვა იმას ეხებოდა, რომ სამინისტროს სტრუქტურაში არ არსებობდა რგოლი, რომელიც ინოვაციებს უპასუხებდა, ინოვაციის დამნერგავი იქნებოდა.

ქალბატონ მარიკას როდესაც შარშან ვკითხეთ არატრადიციული, განახლებადი ენერგიის წყაროების მდგომარეობის შესახებ, დაგვპირდა, რომ მარტის ბოლოს იქნებოდა კანონი ამის შესახებ. თუმცა ჩანს, რომ კანონი არ არის.

ინოვაციების შესახებ რეგიონული განვითარების სამინისტროს განვითარების პროგრამაში 2012-2017 წლებისთვის, ყველაზე კარგად, ოთხ გვერდზე იყო წარმოდგენილი ინოვაციების საკითხები. მესმის, რომ ეს წინა ხელისუფლების დროს იყო გაკეთებული, მაგრამ მემკვიდრეობა ხომ უნდა არსებობდეს ქვეყანაში. შესაბამისად, მაინტერესებს რას აკეთებს სამინისტრო ამ მიმართულებით ან თუ არის შესაბამისი პასუხისმგებელი რგოლი. მაგალითად, ნაგავსაყრელებზე იყო საუბარი. წერილიც გამოვაგზავნე. უახლესი ტექნოლოგიაა, რომელიც ქალაქს მისცემს საშუალებას უმტკივნეულოდ აითვისოს ნაგავსაყრელი.

მდგრადობა არის სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც შედის ქვეყნის ინოვაციურ სისტემაში. ის ამ კუთხით უნდა იყოს განხილული. ასე რომ გამიკვირდა რომ გზშ-სა და ჰესებზე წარიმართა საუბარი. ბატონ მურმანთან და ვახტანგთან ერთად მეც ვარ საზოგადოებრივ კომისიაში, რომელიც შეისწავლის "ხუდონჰესის" საკითხებს, რასაკვირველია, ძალიან ბევრი შეგვიძლია ამ თემაზე ვილაპარაკოთ. გამიკვირდა ქალბატონ მარიკასგან ცოტა გაბრაზებული ტონი, ჩვენც ვიცით ბევრი რამ. დამერწმუნეთ, აქ არიან სპეციალისტები, რომლებმაც კარგად იციან, თუ როგორ უნდა განვავითაროთ ენერგეტიკა, მაგრამ დღეს აქ სხვა რამისთვის მოვედით.

**სალომე ჩუხუა** - შეკითხვა მაქვს ქალბატონ ნინოსთან. რა ხდება ამჟამად ასათიანის პარკთან დაკავშირებით. ამ ბოლო დროს ძალიან აქტუალური გახდა ეს საკითხი. როგორც ჩემთვის ცნობილია, გარემოს დაცვის სამინისტრომ გამოთქვა სურვილი, ამ თემასთან დაკავშირებით შეხვდეს დაინტერესებულ საზოგადოებას.

ძალიან გამიკვირდა, რომ ბატონი შოთა არ შეეხო სტეფანწმინდის საკითხს, კერძოდ ტრავერტინების საკითხს. თუ შეეხეთ, ბოდიშს გიხდით. ამ თემასთან დაკავშირებით მაინტერესებს გარემოს დაცვის სამინსიტროს პოზიციაც.

ამ თემებთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტია ამ სამინისტროებს შორის. არის თუ არა კომუნიკაცია სამინისტროებს შორის. მიმდინარეობს თუ არა მოლაპარაკება, დიალოგი ამ თემების ირგვლივ?

**თამარ გურჩიანი** - კიდევ ერთხელ დაისვა კომუნიკაციის საკითხი და თუ შეიძლება კომუნიკაციის და მთავრობის ზოგადი ხედვის საკითხს ყურადღება რომ დაუთმოთ მომხსენებლებმა.

**მანანა დევიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია "კავკასიის ეკოლოგია"** - კითხვა მინდა დავუსვა ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელს, ქალბატონ მარიამს. რამდენად კოორდინირებულად მოქმედებს ენერგეტიკის სამინისტრო ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში პრიორიტეტულია თანამშრომლობა გარემოს დაცვის სამინისტროსთან, მაგრამ თუ არის გაკეთებული გათვლა იმისა, ამ ჰესების მშენებლობის შედეგად რა ეკონომიკურ შედეგს მივიღებთ? თუ პირიქით მივიღებთ ისეთ ზარალს, რომელიც წლების განმავლობაში გაჰყვება ჩვენს შემდგომ თაობებს და მათი გადასახდელი იქნება. ამის მაგალითი გვაქვს ჭოროხზე. ცოტა ხანში აჭარის ნახევარი სანაპირო შეიძლება ზღვამ წაიღოს. იგივე პერსპექტივა აქვს

ანაკლიასაც. ენგურმა თავისი შედეგი უკვე გამოიღო და მას თუ ხუდონსაც დავამატებთ, რა შედეგს მივიღებთ საბოლოო ჯამში? ჩვენ მცირემიწიანი ქვეყანა გვაქვს და ნუ გვავიწყდება, რომ ჩვენი ლანდშაფტი და ბიომრავალფეროვნება აბსოლუტურად უნიკალურია და განსხვავდება დანარჩენი ქვეყნებისაგან. ამიტომ სხვა ქვეყნებში არსებული სტანდარტების პირდაპირ გადმოტანა გამართლებული არ არის.

**მურმან მარგველაშვილი, "მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის"** - დიდი მადლობა ბიოლის ფონდს ასეთი საინტერესო დისკუსიის მოწყობისთვის. მე მდგრადი განვითარების კონცეფციაზე საუბარს და ამ საკითხის პროფესიონალის ყოფნას უფრო ველოდი, იმიტომ რომ თითოეული მიმართულების წარმომადგენელს, ვახსენეთ ეკონომიკა, გარემოს დაცვა, ენერგეტიკა, აქვთ თავიანთი არგუმენტები. ამ არგუმენტებში შეიძლება ნაკლოვანებებიც ვიპოვოთ, დასაბუთების უფრო მეტი პროფესიონალიზმიც მოვითხოვოთ, მაგრამ პრობლემა ამ არგუმენტების ერთმანეთთან შეჯერებაა, იმიტომ რომ თითოეული სხვადასხვა მიმართულების არის. ამიტომ საჭიროა ერთიანი კონცეფცია, ხედვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ სხვადასხვა არგუმენტის შეჯერება. ამას კამათზე მეტად ალბათ ჭირდება მუშაობა, ანალიზი და ხალხი, არ ვიცი, თუ არის ასეთი ჩვენს ქვეყანაში, ვინც ამაზე მუშაობს, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ სხვადასხვა ფაქტორის ერთმანეთთან შეჯერება.

მე კიდევ ერთ ფაქტორს დავამატებდი - ქვეყნის უსაფრთხოებას. იმიტომ რომ ჩვენი ენერგეტიკული მდგომარეობა არ არის მაინცდამაინც სტაბილური. ჩვენი ყველაზე დიდი ელექტროენერგეტიკული რესურსი ენგური ძალიან სარისკო ზონაშია. ის წარმოადგენს ჩვენი ელექტროენერგიის გენერაციის ნახევარს. ცნობილია, რომ ენერგეტიკა არის ყველაზე დიდი პოლიტიკური ზეგავლენის ბერკეტი. როდესაც ასეთ მოწყვლად მდგომარეობაში ხარ, ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებიც უნდა იქნას ამაში ჩართული.

ამიტომ კარგი იქნება, თუ თუ გვექნება ერთიანი ხედვა და პროცესი, როდესაც მარტო კამათი კი არ იქნება, არამედ ამ კამათის საფუძველზე დაიდება დოკუმენტი ან დებულებები, და მას მოჰყვება განვითარება სტრატეგიის ჩამოყალიბებაში.

მართლაც ძალიან ძნელია დარიალში შეადარო გარემოს თვალსაზრისით ესთეტიკური ჰიდროსადგურის გამომუშავების რაოდენობას. შეიძლება ეკონომიკურადაც შეაფასო. მაგალითად ხუდონის გამომუშავება არის დაახლოებით მილიარდ 600 მილიონი კილოვატსაათი, რაც დაახლოებით არის 200 მილიონი ლარის ეკვივალენტური. როგორ უნდა შეადარო ეს გარემოს დაზიანებას? გარემოს დაზიანება ნებისმიერ პროექტს მოჰყვება. სახლიც რომ ააშენო სადღაც, ისიც აზიანებს. საჭიროა სასწორი, რომელიც ამ სხვადასხვა ფაქტორებს შეადარებს. ძალიან კარგია, რომ ეკოლოგიური სერვიების შეფასება ხდება და იმედია, ეს იქნება უკვე მონეტიზებული და გარკვეული შედარების საშუალება იქნება, მაგრამ სავარაუდოდ მაინც ვერ დაიყვანება ეს ობიექტურობამდე.

**ლევან ჩაიტაიშვილი** - ბევრი ისაუბრეს გამომსვლელებმა სტრატეგიულ ხედვაზე. ჩემი კითხვაც ამას შეეხება, ოღონდ ვეცდები უფრო დავავიწროვო. ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით კავკასია ერთ-ერთი უნიკალური სივრცეა. არსებობს ბევრი ენდემური სახეობა, რომელიც გადაშენების პირზეა. კანონმდებლობაში გაწერილია წითელი ნუსხა, რომელშიც შეყვანილია ეს სახეობები. ჩემი კითხვა ორივე

სამინისტროს წარმომადგენელს ეხება, როგორც ენერგეტიკის, ისე გარემოს დაცვის სამინისტროს. ალბათ უფრო ენერგეტიკას, იმიტომ რომ დღევანდელი კანონმდებლობით ეს უფრო ენერგეტიკის სამინისტროს პასუხისმგებლობაა. თუ კეთდება რამე აღდგენითი სამუშაოების თვალსაზრისით. განვითარებულ ქვეყნებს აქვს საბაზისო სატყეო მეურნეობები, რომლებიც ამ ჯიშების გამოყვანაზე მუშაობს. ვიცი, რომ საბაზისო სატყეო მეურნეობა ჩვენთანაც არსებობს, თუმცა როგორც ვიცი, არ არის ყურადღება გამახვილებული წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებზე.

- როდესაც ენერგეტიკაზე ვსაუბრობთ, რატომღაც მხოლოდ ელექტროენერგეტიკას განვიხილავთ. ამ დროს ენერგეტიკის 70% -ს თბოენერგეტიკა ანუ გაზი წარმოადგენს, რომელსაც ჩვენ ვყიდულობთ. ძალიან არასწორად მოვიხმართ ყველაფერს, ენერგოეფექტურობა არ გაგვაჩნია. ეს ძალიან მძიმე ზეგავლენა ახდენს ჩვენს ეკონომიკაზე. საერთოდ, ჯერ ყალიბდება ეკონომიკური განვითარების კონცეფცია და მერე წინმსწრები ტემპით - ენერგეტიკული განვითარების კონცეფცია, რომ განვითარდეს ეკონომიკა. ვიცით, რატომ გვინდა ენერგია? ზოგადად ვამბობთ, რომ კარგია, ბევრი ენერგია რომ გვქონდეს. საიდან და რატომ მოვიტანოთ ეს ენერგია, რაში ან როგორ ვხარჯავთ მას.

სატარიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით მოგახსენებთ. თბოენერგიაში, ვთქვათ, გაზს ვყიდულობთ, კუბურ მეტრს 54 თეთრად. შემოტანილი ერთი კუბური მეტრი გაზიდან, ვიდრე მას მოსახლემდე მივიყვანთ, 20% გზაში იკარგება. 30% იკარგება იმის გამო, რომ კედლები და ფანჯრები არასტანდარტულია. ნახევარი თბილისი ჩვენს ხარჯზე ვათბობთ გარემოს, კიდევ დაახლოებით 30% იკარგება გამათბობელზე და გამოდის, რომ როდესაც ვყიდულობ ერთ კუბურ მეტრ გაზს, აქედან მხოლოდ 20%-ს მოვიხმარ, დანარჩენს ჰაერში ვუშვებთ.

ჩვენ არ გვაქვს მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელშიც შევა ეკონომიკის განვითარების კონცეფცია. ჩვენი მეზობელი ქვეყნები, რომლებიც მშვენივრად გადავიდნენ ენერგოეფექტურობაზე, იმიტომ რომ კარგად გაყიდონ თავიანთი ენერგომატარებლები. ამასწინათ თურქეთში ვიყავი და აღმოჩნდა, რომ საქართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე მისი ეკონომიკური ზრდა 2008-დან 2013-მდე 37%-ია. იმიტომ რომ თურქეთისგან ვყიდულობთ ყველაფერს, რადგან ის ენერგოეფექტურად აწარმოებს. ჩვენგან ყიდულობს ჰიდროენერგიას და აწარმოებს პროდუქტს, რომელსაც ჩვენ ვყიდულობთ.

**მერაბ დადიანი** - მოვიდა თუ არა ახალი მთავრობა, პირველსავე დღეს დავუდეთ საქართველოში ენერგიის განვითარების კონცეფცია. ასე რომ განცხადებები, რომ კონცეფცია არ არსებობს, არასწორია. ჩვენ ვადგენდით ამ კონცეფციას, როდესაც ჟურნალისტების სახლში ბევრ ცნობილ სპეციალისტს მოსვლაც კი ეშინოდა. გმირობას არ მინდა მივაწერო, ჩვენს საქმეს ვაკეთებდით. ეს კონცეფცია სამინისტროს დავუდეთ, მაგრამ მისი რეაგირება ჩემთვის დღემდე უცნობია.

სავსებით ვეთანხმები წინა გამომსვლელ ქალბატონს, როგორ შეიძლება ქვეყნის ენერგეტიკის განვითარებაზე ვილაპარაკოთ, როდესაც, პიროვნება, რომელსაც ხელთ უპყრია საშუალებები, რომელიმე მიმართულება განავითაროს, აცხადებს, რომ ჰიდროენერგეტიკას განვავითარებთ. ეს ნონსენსია. როდესაც ქალბატონი მარიკა ნორვეგიაზე ლაპარაკობს, ნორვეგია და შვედეთი არის ორი ქვეყენა, სადაც

ჰიდროენერგეტიკა არის პრევალირებული, ნორვეგიაში 95%, შვედეთში - 72%. ასეთი საუბარი არ იქნებოდა, თუ წაიკითხავდნენ კონცეფცია როგორც ენერგეტიკის, ისე ეკონომიკის სამინისტროში.

ამერიკის შეერთებული შტატები წელიწადში 4 ტრილიონ კილოვატსაათის ელექტროენერგიას მოიხმარს. რა გგონიათ, შეერთებული შტატები ჰიდროელექტროსადგურებზე რომ გადასულიყო, რა მაჩვენებელი ექნებოდა? ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში მოხმარებული კილოვატსაათით ჩვენზე ჩამორჩენილი იქნებოდა. არც ერთი ქვეყანა არ არსებობს, სადაც არ შენდება ჰიდროელექტროსადგურები. არის ქვეყნები, რომლებმაც ჰიდრორესურსები ამოწურეს, და აშენებენ თბოელექტროსადგურებს და ატომურ ელექტროსადგურებს. ასეთი განცხადებები ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან საშიშად მიმაჩნია. ასე რომ კეთილი ინებეთ და წაიკითხეთ ეს ნაშრომი. ამ კონცეფციის შედგენაზე ძალიან სერიოზული ხალხი მუშაობდა. თქვენ რატომღაც არ მიიჩნიეთ საჭიროდ მას გაცნობოდით. გვითხარით, რას უწუნებთ? ამიტომ მიდიხართ ისეთ აბსურდამდე, რომ სანიტარულ ხარჯებზე საუბრობთ. სანიტარული ხარჯი დღეს არცერთ ქვეყანაში აღარ არსებობს. არსებობს სანიტარულ-ეკოლოგიური ხარჯი. გააკეთეთ სანიტარულ-ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშება, ათვისების პროცენტი შეგიმცირდებათ, მაგრამ გეცოდინებათ რა სურათს ღებულობთ ჰიდროელექტროსადგურებისაგან.

როდესაც ამბობთ, რომ თერგი სარწყავად არ გამოდგება, ამით ჩანს, რომ საქართველოს ყველა მდინარე, რომელიც ასეთ რეგიონებში მოედინება, თქვენი ხელით დაიღუპება. დაუკვირდით, რა ლაპარაკობთ. როგორ შეიძლება მდინარის დაღუპვა დერივაციით, როდესაც მას გვირაბში ატარებ, არ უტოვებ ეკოლოგიური განვითარების და არსებობის საშუალებას. დაინტერესდით სხვა მეთოდებით.

რატომღაც მეგონა, რომ მდგრად განვითარებაზე საუბრისას ჩამოთვლილი იქნებოდა, რომელი სექტორები უნდა განვითარდეს ქვეყანაში და როგორია მათი ენერგომოთხოვნილება, როგორია ამ ენერგომოთხოვნილების დინამიკა და რას გააკეთებს ენერგეტიკის სამინისტრო ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

დღეს მთელ მსოფლიოში აქცენტი კეთდება თბოელექტროსადგურებზე. ეს ცხრილები რომ ნახოთ, ნახავთ, რომ თბოელექტროსადგურების გამომუშავება გაცილებით მეტია ვიდრე ჰიდროელექტროსადგურების. დაუკვირდით, რას აკეთებთ, როდესაც სამინისტროდან აცხადებთ, რომ ალტერნატივა არა აქვს ჰიდროელექტროსადგურებს. ხეთაგური ამას ამბობდა. თქვენ აგრძელებთ ამ პოლიტიკას?

**თამარ გურჩიანი** - ძალიან საინტერესო კითხვები დაისვა და ჩვენი მომხსენებლები ახლა უპასუხებენ ამ კითხვებს. ბატონი მერაბის კითხვა ყველასთვის გასაგებია ალბათ. დაისვა კითხვა ენერგოეფექტურობაზე, სახეობებზე, ენერგოუსაფრთხოებაზე, სტეფანწმინდაზე, ასათიანის პარკზე, ჭოროხზე, ანაკლიასა და ენგურზე, ინოვაციის მნიშვნელობაზე, სივრცითი მოწყობის სტრატეგიაზე, ჰიდროელექტროსადგურების საჭიროებაზე და ბოლოს - გააჩნია თუ არა მთავრობას ხედვა, კონცეფცია თავისი საქმიანობის კოორდინაციასთან დაკავშირებით. გასაგებია, რომ ცალკეული სამინისტროების წარმომადგენლები ვერ აგებენ პასუხს მთლიანად მთავრობის ხედვაზე, მაგრამ მინისტრები, რომელთა მოადგილეებიც თქვენ ბრძანდებით, მთავრობის წევრები არიან და საკითხები, რომლებიც რომელიმე

სამინისტროს კომპეტენციაში რამენაირად შეიძლება შედიოდეს, მათი განხილვა უკვე მთავრობის პრეროგატივაა.

**მარიამ ვალიშვილი** - რადგან კითხვები ძირითადად ენერგეტიკული ხასიათის იყო, ჩემი პასუხებიც ბუნებრივია, ენერგეტიკული ხასიათის იქნება. ფაქტია, რომ ჩვენს მთლიან ენერგეტიკულ ბალანსში და არა ელექტროენერგეტიკულ ბალანსში ჰიდროელექტროსადგურების წილი დღეს ძალიან მცირეა და 15%-ს შეადგენს. ჩვენი ენერგომატარებლებზე დამოკიდებულება 85%-ია. ანუ ბუნებრივი აირი და ნავთობპროდუქტები, რომელსაც დღეს ჩვენი ეკონომიკური განვითარების პირობებში ქვეყანა მოიხმარს, სამწუხაროდ იმპორტირებული რესურსია. უახლოეს პერსპექტივაში პირადად მე არა მაქვს ილუზია, რომ ეს წონადობა საქართველოში რესურსების მოპოვების თვალსაზრისით შეიცვლება ან რომ უახლოეს პერიოდში აღმოვაჩენთ ნავთობის ან გაზის საბადოებს. ღმერთმა ქნას, რომ კიდევ უფრო მდიდარი ქვეყანა გავხდეთ რესურსობრივად, მაგრამ ეს სამწუხაროდ უახლოეს პერსპექტივაში არ იქნება.

ცალსახაა, რომ ჰიდროენერგეტიკა ბაზისური ენერგიის დეფიციტს ქვეყანაში ვერ შეავსებს. მას მხოლოდ გარკვეული სეგმენტის შევსება შეუძლია და არავის უთქვამს, რომ ჩვენს ენერგომატარებლებზე დამოკიდებულებას ჩაანაცვლებს ჰიდროენერგეტიკა. აქ საუბარია ელექტროენერგიის გამომუშავებაზე, რომელიც შეიძლება გადანაწილდეს სხვადასხვა რესურსებს შორის. ეს თეორიულადაც კი წარმოუდგენელია.

რაც შეეხება ეკნომიკური განვითარების სტრატეგიას, ჩვენი სტრატეგიის ფარგლებში არის რამდენიმე ალტერნატივა, უფრო სწორად, დაშვებები იმისთვის, რომ რეალურად განისაზღვროს რა მოთხოვნები იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში. მაგალითად ერთი ალტერნატივა, რომელზეც გვქონდა ეკონომიკის სამინისტროსთან საუბარი, გახლავთ ენერგოტევადი ინდუსტრიის განვითარება. მაგრამ ეს საქართველოში გამორიცხულია უახლოესი 15-20 წლის განმავლობაში . რადგან ენერგოტევადი ინდუსტრია ნიშნავს ბაზისურ ენერგიაზე მოთხოვნის კიდევ უფრო გაზრდას და ჩვენს ადგილობრივ რესურსს ამის დაკმაყოფილების საშუალება არ ექნება. ეს ნიშნავს, რომ კიდევ უფრო გაიზრდება იმპორტზე დამოკიდებულება.

ბატონ მერაბს მინდა ვუთხრა, რომ წაკითხული მაქვს მისი კონცეფცია და შეგვიძლია ცალკე გავიაროთ ეს თემები.

ენერგოტევადი ინდუსტრიის განვითარებას დღეს საქართველოში ჩვენი ადგილობრივ რესურსზე დამოკიდებულების ფორმატში ჩემი აზრით პერსპექტივა არ გააჩნია. შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ თემაზე. ვეთანხმები მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დივერსიფიცირება ამ წყაროებისა უნდა მოხდეს, მაგრამ არა გვაქვს. ბაზისურ ენერგიაში საწვავად რას გამოვიყენებთ?

ენერგოეფექტურობის თემა. სამწუხაროდ ჩვენი სამშენებლო სექტორი დღეს სტაგნაციაშია და თუნდაც იმ კონფიგურაციაში, რა ტემპითაც ვითარდებოდა ქვეყანა, ძალიან ბევრი აქტივია არარეალიზებული. ენერგოეფექტურობა ემყარება სავალდებულო ღონისძიებებს და ნებაყოფლობით ღონისძიებებს. ნებაყოფლობით ღინისძიებაში არავინ არის შეზღუდული. ყველას შეუძლია ენერგოეფექტური ნათურა გამოიყენოს სახლში, მაგრამ როდესაც მოსახლეს აქვს 5 ლარის ელეტროენერგიის მოხმარება, მას არ შეუძლია 35 და 40 ლარი გადაიხადოს ენერგოეფექტურ [ნათურაში]. ეკონომიკურ ხასიათზე ვამბობ. ნებაყოფლობით ყველა თქვენგანს შეუძლია სახლიც დათბუნოს, რემონტიც გაიკეთოს. ეს არ არის საბიუჯეტო სახსრები, ეს არის ხალხის

სახსრები. დღეს რემონტი ვერ იქნება პრიორიტეტი, დღეს პრიორიტეტია პენსიის გაზრდა. როდესაც ორივესთვის გაჩნდება რესურსი, ორივეს მოემსახურება. ნებაყოფლობით არავის ეკრძალება ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარება. ენერგოეფექტური ღონისძიებებით შეგიძლიათ 20 კილოვატსაათი დაზოგოთ თქვენს ბინაში, ამას არავინ კრძალავს.

ბატონ თამაზს ჰქონდა კითხვა კანონზე განახლებადი ენერგიის შესახებ , ჩარჩო კანონი უკვე მომზადებული გვაქვს. მოგეხსენებათ, ახლა ვსაუბრობთ ენერგეტიკულ გაერთიანებაში კონკრეტულ ვალდებულებებზე რამოდენიმე მიმართულებით. ტრანსპორტის სექტორი, ანუ განახლებადების წილი ტრანსპორტში. ამ საკითხს ვაანალიზებთ და რამდენიც არ უნდა იყოს, 15, 20 თუ 80%, სავალდებულო ხასიათით ჩაჯდება. ვმუშაობთ საჯარო სექტორის მიმართულებით, სავალდებულო იქნება თუ არა, ან რა კონტექსტით და რა პერიოდისთვის. კანონპროექტი მომზადებულია, მაგრამ საკონსულტაციო რეჟიმი არ დაწყებულა იმიტომ რომ საკონსულტაციო და სადისკუსიო რეჟიმისთვის დოკუმენტი მზად უნდა იყოს.

**თამარ გურჩიანი** - ბევრმა დასვა ეს კითხვა, რით განსხვავდება თქვენი ხედვა წინა მთავრობის ხედვისგან?

**მარიამ ვალიშვილი** - აღმოაჩინეთ საბადო, რაც განაპირობებს რესურსების ათვისების სტრატეგიის შეცვლას? თუ ეკონომიკური ზრდა შეიცვალა? პოლიტიკაში ვერაფრით ჩაიწერება, რომ ატომურის განვითარებას აპირებს ქვეყანა. ყველაფრისთვის არის მოტივაცია, თუ რატომ წერია პოლიტიკაში ის, რაც წერია. 2006 წლის პოლიტიკა დღეს განსჯის საგანია. მაშინ სულ სხვა რეალობა იყო. დღეს სხვა რეალობაა და ეკონომიკის განვითარების განვითარების სხვა ტენდენციები. ბაზარი დაარეგულირებს, მაგრამ იმისთვის, რომ სწორი მიმართულებით წავიდეს, ხელის წაშველებაა საჭირო.

უსაფრთხოების თემასაც მინდა შევეხო. უსაფრთხოება განისაზღვრება იმით, რამდენად ვართ დამოკიდებულები სხვაზე ანუ არაადგილობრივ რესურსზე. სტრატეგიის ჩამოყალიბებაში ვცდილობთ ამის გათვალისწინებას.

რაც შეეხება ბიომრავალფეროვნების თემას, ბუნებრივი რესურსები ენერგეტიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში უკვე ორი თვეა აღარ არის და ქალბატონი ნინო გაგცემთ ამაზე პასუხს.

ტარიფების თემა - ადგილობრივი რესურსის განვითარება ემსახურება ტარიფის გრძელვადიანი შემუშავების მოტივაციებს, იმიტომ რომ იმპორტი ცალსახად ზრდადია ფასის და დამოკიდებულების კომპონენტში და ამიტომ ამაზე დამოკიდებულება სტრატეგიის ძირეულ ხაზს არ წარმოადგენს. ჩვენ გვინდა იმპორტზე დამოკიდებულება შევამციროთ იმ რესურსების ფორმატში, რომლებიც ადგილზე გაგვაჩნია. ეს არის სტრატეგიის ძირითადი ქვაკუთხედი და ვფიქრობ, რომ მისი დაცვა ყველა კონტექსტში შეგვიძლია.

**მალხაზ სალდაძე** - დებატებს ვმართავთ არა იმისთვის, რომ მხოლოდ ჩვენ-ჩვენი აზრი დავაფიქსიროთ, არამედ იმისთვის, რომ ერთმანეთს მოვუსმინოთ. ძალიან ბევრი კითხვა დაისვა, ბევრი კომენტარი გაკეთდა, ყველას ჩვენი აზრი გაგავაჩნია, მაგრამ გთხოვთ პატივი ვცეთ მომხსენებლებს და ვაცალოთ აზრის გამოთქმა.

**ნინო შარაშიძე** - შევეცდები ვუპასუხო დასმულ კითხვებს. ბატონმა ვახტანგმა ახსენა მდგრადი განვითარების სტრატეგია. ეს ის საკითხია, რომელიც აუცილებლად უნდა მეხსენებინა და გმადლობთ, რომ შემახსენეთ. მდგრადი განვითარების სტრატეგია რომ არ გააჩნია ქვეყანას, ძალიან დიდი პრობლემაა. იმიტომ რომ მდგრადი განვითარების სტრატეგია მოგვცემდა მიმართულებას, ერთხელ და საბოლოოდ განსაზღვრავდა მიმართულებას. დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი გარემოს დაცვის სამინისტროში და დაახლოებით 95 წლიდან არის საუბარი მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ჩვენი სამინისტრო ყოველთვის იყო ამის ინიციატორიც და მომხრეც, მაგრამ სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ მდგრადი განვითარების სტრატეგია არ შეიძლება რომელიმე ერთი სამინისტროს სტრატეგია იყოს, პასუხისმგებლობა მთლიანად უნდა ყოფილიყო გაზიარებული, მთავრობას და საზოგადოებას ერთად უნდა შეემუშავებინათ, საით მივდივართ. უნდა განგვესაზღვრა, სად გვინდა მისვლა და როგორ უნდა მივსულიყავით იქამდე.

ნებისმიერ მთავრობას აქვს ერთი სერიოზული გამოწვევა. ნებისმიერი ხელისუფლება მთავრობაში არის შეზღუდული პერიოდით, რაც თავისთავად ძალიან კარგია, მაგრამ ამას აქვს უარყოფითი მხარეც. ეს მთავრობები ყოველთვის იყვნენ მობილიზებულები იმაზე, რომ რაც შეიძლებოდა სწრაფად და ყველანაირი საშუალებით მოეხდინათ ფისკალური ეფექტები, თანხმების მობილიზება, იმისთვის, რომ შემდეგ განეხორციელებინათ ეფექტებზე დაყრდნობილი პროექტები. ეს ცხადია, რომ არ იყო თანხვედრაში მდგრადი განვითარების სტრატეგიასთან. წინა ხელისუფლების მაგალითი ძალიან კარგია იმის საჩვენებლად, თუ როგორ არ უნდა ემოქმედათ მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად, როგორ არ უნდა ეფიქრათ შემდგომ პერიოდზე. მდგრადი განვითარების სტრატეგიის და საერთოდ, ქვეყნის განვითარების სტრატეგიის შემუშავებას სულ მცირე ერთი წელი ჭირდება. ეს ურთულესი პროცესია და სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. ამის გარეშე არ შეიძლება საუბარი ქვეყნის განვითარების ცივილიზებულ ფორმებზე.

მეც ძალიან ვწუხვარ, რომ დღეს აქ არ იმყოფება ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი. იმიტომ რომ ეკონომიკის სამინისტრო უნდა იყოს ის მაკოორდინირებელი, ვინც ამ ფუნქციას აიღებს საკუთარ თავზე. ყველა ჩვენგანს გვექნება ჩვენი როლი ამ საქმეში. სხვათა შორის ეკონომიკის სამინისტროში უკვე მიმდინარეობს საუბარი ქვეყნის განვითარების სტრატეგიაზე. იმედი მაქვს, რომ ეს მთავრობა არ წამოეგება იმ ცდუნებას, რომ ისევ განხორციელდეს მოკლევადიან ეფექტებზე დამყარებული მიმართულებები.

იმას, რომ 100% ჩვენი ენერგორესურსისა უნდა იყოს დაფარული ჰიდრორესურსებით, ჩვენ არ ვეთანხმებით. ხშირად არის საუბარი, რომ ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტის მშენებლობისას არის დანაკარგი. დანაკარგი ცხადია არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკურ საკითხსაც, რომელიც ძალიან მაწუხებს. თუკი ვსაუბრობთ მდგრად განვითარებაზე, ის მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით საკითხებს. ამიტომ ვსვამთ ეკონომიკურ კითხვებს. არ დაგვავიწყდეს, რომ როდესაც საბჭოთა კავშირის დასასრულს საუბარი იყო "ხუდონჰესზე", მაშინ ეს სახელმწიფოს პროექტი უნდა ყოფილიყო. დღეს ყველა დაგეგმილი პროექტი ადგილობრივი თუ უცხოელი ინვესტორისაა. ფაქტობრივად მთელი ეკონომიკური მოგება მიდის ინვესტორთან. რა არის ექსპორტი, ეს არის ის, რაც გადის, არ იბეგრება. რა მოგება აქვს სახელმწიფოს ამისგან?

ბატონო მურმან, თქვენ აღნიშნეთ, რომ "ხუდონჰესი" გვაძლევს მილიარდ 200 მილიონ კილოვატ ელექტროენერგიას. ზამთრის თვეებში, ოთხი თვის განმავლობაში, როდესაც საქართველოს აქვს ელექტროენერგიის დეფიციტი, "ხუდონჰესი" აწარმოებს მხოლოდ 150 მილიონ კილოვატსაათ ენერგიას. ამიტომ ყველა ის პროექტი, რომელიც ხორციელდება, ზამთრის თვეებში გვაძლევს იმ მინიმალურს, რაც გააჩნიათ. დანარჩენ თვეებში, როდესაც ძალიან მაღალ სიმძლავრეს აწარმოებენ, ეს გადის და ამით მდიდრდებიან. ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციის წამომადგენელმა ერთხელ გაკვირვებულმა მკითხა, რატომ ანიავებს საქართველო საკუთარ რესურსებს. ეს ერთ-ერთი ის მიმართულებაა, რომელზეც უნდა ვიფიქროთ. არ შეიძლება საჩუქრებად დავარიგოთ ჩვენი ბუნებრივი რესურსები და შემდეგ გვიხაროდეს, რომ ინვესტორია ჩვენს ტერიტორიაზე.

ბატონ თამაზს სრულიად ვეთანხმები ინოვაციებთან დაკავშირებით. გარემოს დაცვის სამინისტრო და გარემოს დაცვის სფერო ჩვენი ტიპის ქვეყნებში ჯერჯერობით არის თავდაცვით პოზიციაში. გარემოს დაცვის სამინისტრო სამწუხაროდ არ არის ლიდერი. მდგრადი განვითარების ის ძირითადი პრინციპი, რომ სამივე მიმართულება დაბალანსებული იყოს, რეალურად ჯერ არ არის. ამას ბევრი მიზეზი აქვს. ამდენი დაშვებული შეცდომის მერე იმდენი რამ არის გამოსასწორებელი, რომ ასეთი სწორი მიდგომების განხორციელება სამწუხაროდ ვერ ხდება. ფაქტობრივად, ქართული ენერგეტიკა ეყრდნობა მხოლოდ ინვესტორის ნება-სურვილს. ველოდებით, როდის ჩამოვა და ჩადებს ინვესტიციას ქარისა და მზის ენერგიაში. მაგრამ არა აქვს ამის სურვილი და ეს არის მიზეზი, რატომაც არ გვაქვს.

ასათიანის ქუჩაზე მშენებლობებზე მერიას სამწუხაროდ ნებართვა აქვს გაცემული. გარემოს დაცვის სამინისტროს ერთადერთი, რაც შეუძლია, არის ის, რომ შუამავალი იყოს. გარდა მოწოდებებისა, განცხადებებისა, სხვა ბერკეტი არ გაგვაჩნია. საერთოდ თბილის მერიასთან ძალიან რთული ურთიერთობა გვაქვს, ჩვენ არ გვაქვს ბერკეტი იმის თავიდან ასაცილებლად, რაც ხდება და ჩვენი პოლიტიკის გასატარებლად. პარასკევს დაგეგმილია შეხვედრა. იქ იენებიან სამინისტროს, პარლამენტის, მერიის, საზოგადოების წარმომადგენლები. ხშირად გვაკრიტიკებენ უმოქმედობაში, მაგრამ სამწუხაროდ სამართლებრივად ისეა მოწყობილი, რომ ჩვენ უუნაროები ვართ. ამ შემთხვევაში საზოგადოების ნება გაცილებით უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანია ვიდრე ჩვენ. იგივე ხდება ხეების ჭრასთან დაკავშირებითაც. მით უმეტეს, რომ ახალი კანონმდებლობით კოჯრის, წავკისის ტერიტორიაც თბილისს ეკუთვნის.

რაც შეეხება ტრავერტინებს, ის არ ყოფილა შეტანილი ბატონ ხეთაგურის მიერ [ძეგლთა ნუსხაში]. ივლისის ბოლოს იგეგმება სხვა 12 ობიექტთან ერთად მისი შეტანა.

აჭარის სანაპირო ზოლის ჩარეცხვა ასევე ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა. ამაზე სერიოზული განგაშია ასატეხი. ალბათ თემაზე ალბათ ბატონი შოთაც ისაუბრებს.

**შოთა მურღულია** - არ ვარიდებთ მთავარ თემებს თავს. თვეში ერთხელ მაინც მივდივარ იმ მხარეში და ვერ ვიტყვი, რომ სხვაზე ნაკლებად მიყვარს, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი გადაჭრა. ყველაფერი უნდა განვიხილოთ ასე, კანონი დაირღვა თუ არა. თუ კანონი არ დაურღვევიათ, მაგრამ საზოგადოებისთვის მიუღებელი რამ გააკეთეს, გამოდის, რომ კანონია შესაცვლელი. ძეგლთა ნუსხაში [ობიექტის] შეტანის საკითხ ჩვენ ვერ დავაყენებთ. ეს ალბათ სხვა უწყების პრეროგატივაა.

რაც შეეხება ინოვაციების თემას, ასეთი დეპარტამენტი მართლაც არის ჩვენს სამინისტროში, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს დეპარტამენტი ინოვაციების და ტექნოლოგიების დამნერგავი იყო. ეს დეპარტამენტი იმისთვის შეიქმნა, რომ უცხოური პროექტების მართვაში მიეღო მიეღო მონაწილეობა. ჩვენ მას შევუცვალეთ ფუნქცია. რასაკვირველია ძველი ფუნქციაც დარჩა, მაგრამ გვინდა რომ ტექნოლოგიების საკითხიც შევიდეს, მაგალითად, ნაგავსაყრელთან დაკავშირებით 15 სხვადასხვა წინადადება იქნა შემოტანილი, გზების ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით. წლის ბოლოს ჩვენ დავდეთ ერთწლიანი სტრატეგია. ძველი ხუთწლიანი სტრატეგიიდანაც ბევრი რამ მისაღებია, თუმცა გადახედვას საჭიროებს. ინოვაცია ორი მიმართულებით დაიგეგმა, მენეჯმენტის მიმართულებით. აქ ძირითადად გზებთან დაკავშირებული საკითხები იქნება. ამის შემდეგ დაგება და მისი მოვლა ერთი კონტრაქტის ქვეშ განხორციელდება. თვითონ დამგები უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ხუთი წელი მართოს. ფინანსურად თვითონვე იზარალებს, თუ დაგებისას რაიმეს დააკლებს. სახელმწიფო არ შეიძლება ზედამხედველის იმედად იყოს. პასუხისმგებლობა მაქსიმალურად ისე უნდა გადავანაწილოთ, რომ თვითონ იყოს დაინტერესებული. კახეთში 20 კმ-ზე დაინერგება და ვნახავთ, როგორ იმუშავებს. არის წყალთან დაკავშირებული ოთხი დიდი პროექტიც. აქ ენერგოეფექტურობის საკითხიც არის ჩადებული, რომ რაც შეიძლება ნაკლები ენერგია მოიხმაროს, იმიტომ რომ ეს შემდეგ თვითონ კომპანიისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ გავაკეთებინეთ მცირე ანალიზი იმისა, თუ რამხელა დანაზოგი შეიძლება მიიღოს წყალმომარაგების კომპანიამ ძრავების შეცვლით. ეკონომიკურად უნდა იყოს გათვლილი, უღირს თუ არა ეს კომპანიას.

შავი ზღვის სანაპიროსთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ, რომ ანაკლიასთან დაკავშირებით გამარჯვებული უკვე გამოვლენილია და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძვირადღირებულია, დაიწყება ნაპირსამაგრი სამუშაოები. დაახლოებით 2,2 კმ იქნება დაცული, ის ადგილი, სადაც ჩამოდის ენგური. ძირითადად მარცხენა მხარეს უქმნიდა პრობლემას.

ჭოროხთან ხიდის მშენებლობა იყო დაგეგმილი და მართალია გადადება მოგვიწია ამ პროექტის, რაც მოსახლეობას არ სიამოვნებს, მაგრამ “მსოფლიო ბანკთან” კონსულტაციებით გამოვაცხადეთ ტენდერი. პირველი ტენდერი ჩავარდა, მეორეზე გამოვლინდა გამარჯვებული. ბათუმში 7 კმ-ის ნაპირსამაგრი სამუშაოები იგეგმება.

მე, როგორც კი დამიკავშირდნენ, თავიდანვე ვთქვი, რომ კარგი იქნებოდა, რომ ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელიც ყოფილიყო. იმიტომ რომ მდგრადი განვითარების კონცეფცია დებულებაში ეკონომიკის სამინისტროს უწერია და სტრუქტურული ერთეულიც ჰყავს.

რაც შეეხება სივრცით ტერიტორიულ მოწყობას, “მსოფლიო ბანკთან” გვქონდა საუბარი ამასთან დაკავშირებით. როდესაც კრედიტის აღებაზე მიდგება საქმე, ვცდილობთ, რომ წილი მაქსიმალურად მოდიოდეს ინფრასტრუქტურაზე. თუმცა ვფიქრობთ, რომ ტექნიკურ განვითარებაშიც ღირს თანხის დახარჯვა, რომ სპეციალისტები გვყავდეს. და ჩავდეთ კომპონენტები, რომ ამაში დაგვეხმარონ. პრობლემა ის არის, რომ მართალია ჩვენს სამინისტროს რეგიონული და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ჰქვია და ბევრს მიაჩნია, რომ ყველა ტიპის ინფრასტრუქტურა ჩვენ გვეხება, მაგრამ ძირითადი საკითხი, რაც კი სამართლებრივად დაისვა, ეკონომიკის სამინისტროს ეხება. მაგალითად, მშენებლობის დეპარტამენტი,

ტრანსპორტის დეპარტამენტი. პოლიტიკის განსაზღვრა ჩვენთან არ ხდება, მხოლოდ მცირე ნაწილით.

გარემოს დაცვის სამინისტროსთან კოორდინირებას რაც შეეხება, ჩემი მისვლიდან ერთ კვირაში გვქონდა შეხვედრა ნაგავსაყრელებთან დაკავშირებით. დღემდე გვაქვს სხვადასხვა მოსაზრებები. ყოველკვირეულად ვაწარმოებთ ამ თემაზე ურთიერთობას. განსხვავებული მოსაზრებებიც გვაქვს, მაგრამ იმას ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს შორის კომუნიკაცია არ არის. არის საკითხები, რაზეც შევთანხმით, მაგალითად ნაგავსაყრელებთან დაკავშირებით. არც ჩვენ მოგვწონს, რომ ყველაფრის ცენტრალიზება მოხდა, ადგილობრივიდან რომ ზემოთ წამოვიდა. მაგრამ იმასაც ვამბობთ, რომ თუ ზემოდან ქვემოთ უნდა ჩამოვიდეს, ეს როგორ უნდა გაკეთდეს, ამის სქემაც გავაკეთოთ. თუ დიდი თანხები იქნება საჭირო ნაგავსაყრელების მოსაწყობად, მოვაწყოთ და შემდეგ მართვაში გადავცეთ რამდენიმე თვითმმართველობის გაერთიანებას. ჩვენ დეცენტრალიზაციის მომხრეები ვართ და მიგვაჩნია, რომ განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა ადგილზე მიიღებოდეს ის გადაწყვეტილება, რაც ადგილზეა მისაღები. ჩვენ უკვე შევხვდით რამდენიმე ჯგუფს, რომლებმაც ურბანულ განვითარებაზე თავიანთი მოსაზრებები წარმოადგინეს.

**ვახტანგ ზარქუა** - თუ სწორად გავიგე, სამინისტროში არის სივრცითი მოწყობის და მშენებლობის დეპარტამენტი და თქვენ მათთან თანამშრომლობით გინდათ სტრატეგიის მომზადება?

**შოთა მურღულია** - "მსოფლიო ბაკნთან" ერთი ტრანში მოიცავს ავტობანის გაგრძელებას, მასზე უკვე მოვაწერეთ ხელი. იქ არის კომპონენტები, თუ რა მხრივ საჭიროებს საქართველოს ხელისუფლება ტექნიკურ დახმარებას. დიდ ინფრასტრუქტურას აუცილებლად მოჰყვება სივრცითი განვითარების კომპონენტიც. "მსოფლიო ბანკი" და ზოგადად, დონორები ასეთ საკითხზე უარს არასოდეს არ ამბობენ. ამჯერად მიმდინარეობს ხელშეკრულების რატიფიცირება.

ტრავერტინების საკითხი ადამიანურად, რა თქმა უნდა არც მე მომწონს. რისი აღდგენაც შესაძლებელია, უნდა აღვადგინოთ. თუმცა მას, რაც წლების განმავლობაში შეიქმნა, ერთ და ორ წელში ვერ აღვადგენთ. ისიც უნდა ითქვას, რომ ნამდვილად დაზიანდა, მაგრამ იყო ერთი ნაწილი, რომელიც ბოლო 3-4 წლის განმავლობაში იყო შექმნილი, მაგრამ ფერი იგივე ჰქონდა. კონტრაქტორს კანონი არ დაურღვევია. ხელს არავის ვაფარებთ, მაგრამ თუ კანონი არ დაურღვევია, სანქციებზე ვერ ვილაპარაკებთ. საყვედურის დონეზე, რომ ეკითხა მაინც, იყო საუბარი, მაგრამ ჩათვალა, რომ ჰქონდა უფლება. მე სწორედ იმის აღნიშვნა მინდა, რომ თუ სწორად არის პროექტი შედგენილი, მასში ყველა საკითხია გათვალისწინებული. პროექტის შემდგენმაც თქვა, რომ იქ ბუნებრივი ძეგლი არ ყოფილა დაფიქსირებული. ყველა ქვეყანაში ასეა, ჩვენ ვუკვეთავთ პროექტს. ხდება პროექტის მიღება, გაანალიზება დამკვეთის მიერ, შემდეგ ცხადდება ტენდერი სამუშაოს შესრულებაზე და ზედამხედველობაზე. ამ ყველაფერს კოორდინირებს გზების დეპარტამენტი. ყველა ერთსა და იმავეს ამბობდა, რომ კანონი არ დაურღვევია. ტრავერტინებს ძეგლის სტატუსი არ ჰქონია. მეც ძალიან მწყდება გული, მაგრამ სახელმწიფო კანონის ენაზე ელაპარაკება. სამართლებრივ ენაზე ვერაფერს ეტყვი.

**თამარ გურჩიანი** - დღევანდელი დისკუსია ორი რამით იყო ჩემთვის გამორჩეული. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დისკუსია იყო. პირველ რიგში იმით, რომ სახელმწიფო მოხელეებს ასეთი კომპეტენტური და ინფორმირებული აუდიტორია ჰყავთ, რომელიც სვამს მწვავე კითხვებს, აკრიტიკებს და ამასთან კონსტრუქციულ ალტერნატივებსაც სთავაზობს. ამ თვალსაზრისით დღევანდელი დისკუსია მართლაც გამორჩეული იყო. მეორე ის არის, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებს არა აქვთ იმის სურვილი, რომ ერთხმად ისაუბრონ რაღაც საკითხებზე. წინა მთავრობისგან განსხვავებით, სადაც უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, ეწინააღმდეგებიან კიდეც. მე ვფიქრობ, რომ ეს არის პროგრესი, რომელიც სახელმწიფომ და საზოგადოებამ განვიცადეთ და ეს უნდა ვაღიაროთ. ამისთვის დიდ მადლობას გიხდით ყველა მომხსენებელს. მდგრადი განვითარებაც ამას გულისხმობს, მრავალწახნაგოვნებას. წინააღმდეგობები უნდა არსებობდეს, მაგრამ ვდილობთ, ჰარმონიაში მოვიყვანოთ ისინი. ეს კი არა მარტო იმათზეა დამოკიდებული, ვინც პოლიტიკას ქმნის, არამედ ჩვენზეც, იმიტომ რომ ეს ყველაფერი ჩვენ გვეხება და გადაწყვეტილებები უჩვენოდ არ უნდა იქნეს მიღებული.

დიდი მადლობა. დისკუსია დასრულებულია.